В целом, критика грузинскими анархистами капитализма так и осталось проклятиями в адрес этого строя, пустой фразеологией, не подкрепленной серьезным экономическим анализом. Анархисты ограничивались осуждением эксплуатации, но не в состоянии были выявить ее экономические предпосылки, понять закономерности исторического развития. Закономерен вывод, сделанный В. И. Лениным о теоретической бесплодности анархизма. За долгий период своего существования он не дал стройной теории, объясняющей возникновение отношений эксплуатации. Грузинские анархо-коммунисты также не стали исключением из этого правила.

²⁹ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 25, с. 236.

³⁰ Г. Сандомирский. «Торжество антимилитаризма». /К истории анархистского движения/. — М.: т. МГСНХ, 1920, с. 42.

Представлена отделом обобщения опыта развития социалистической экономики и истории грузинской экономической мысли Института экономики и права АН ГССР

ილია რუხინაძე

მეცნიერ მუშაკთა შრომის შედეგიანობის შეფასების მეთოდის საკითხები

სამეცნიერო ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადაყვანა მიმართულია მეცნიერების საკადრო პოტენციალის ხარისხისა და შემოქმედებითი უწყებების ამაღლებისაკენ, რათა გაწეული დანახარჯების ეფექტიანობა და უკუგება მთელი კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის საქმიანობის ნორმად, მათი საქმიანობის შეფასების მთავარ კრიტერიუმად იქცეს. ყოველივე ეს კი მოითხოვს მათი შრომის შეფასების ქმედითი მექანიზმის შექმნას.

სამეცნიერო და საინჟინერო მუშაკების შრომის ხარისხის მართვის არსებული სისტემები ვერ ჰქონდა საბოლოო შედეგების შეფასებისა და სტიმულირების პრობლემებს. ბევრ არსებულ მეთოდშია ჩირითადი აქცენტი კეთდება შრომის პროცესის ხარისხის შეფასებაზე (სამუშაოთა შესრულება თავის დროზე და რეკლამაციების გარეშე, ნაშრომების ან ნახაზების მოცულობა, შემსრულებელთა კვალიფიკაციის შესაბამისობა შესრულებული სამუშაოს სირთულესთან, დავალებათა შესრულების ხარისხი და ა. შ.), მეცნიერ მუშაკთა შრომის შედეგიანობა და შედეგების ხარისხი საერთოდ არ ფასდება.

სამეცნიერო კოლექტივების საქმიანობის შედეგების შეფასება განუყოფლად და დაკავშირებული მისი თითოეული წევრის შრომის ობიექტურ შეფასებასთან. სამეცნიერო ტექნიკური ორგანიზაციების თანამშრომელთა ატესტაციამ შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლისას გამოავლინა სამეცნიერო დაწესებულებებში შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების რიგი ნაკლოვანებანი. თუ კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგებისათვის არსებობს საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის დამუშავების დროის ერთიანი ნორმები, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შრომითი დანახარჯების ნორმატივები დამუშავებული არ არის. ატესტაციის დროს არ ხდებოდა ატესტირებულ მუშაკთა მიერ შესრულებულ სამეცნიერო გამოკვლევათა თემატიკის პერსპექტიულობისა და ხარისხის შეფასება. ამან კი რიგ შემთხვევაში განაპირობა ცალკეულ თანამშრომელთა ხელფასის მომატება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობისა და ეფექტიანობის გათვალისწინების გარეშე, ატესტაცია არსებითად დაყვანილი იქნა მეცნიერ მუშაკთა მაღალი კვალიფიკაციის სტიმულირებაზე და არა ყველაზე ეფექტიანი სამუშაოების შესრულების სტიმულირებაზე. გამორიცხულია ორგანიზაციის (კოლექტივის) მთლიანად საქმიანობის შეფასებისა და თითოეული შემსრულებლის საქმიანობის შეფასების კავშირი. ინდივიდუალური შეფასება გამოიყენება მხოლოდ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას. ამასთან შეფასების მაჩვენებლები ძირითადად ითვალისწინებს შრომითი აქტიურობის ამაღლებას, სამუშაოს ხარისხს და თითქმის არ ასახავს შესრულებული სამუშაოს სახალხო

სამეურნეო მნიშვნელობას, პირად წვლილს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. თანამდებობრივ ხელფასზე დანამატები გამოიყენება სპეციალისტთა შრომის დამატებითი სტიმულირებისათვის და არა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამუშაოთა შესრულების წახალისებისათვის. ეს დანამატები მუშაკებს, როგორც წესი, მიეცემათ ყოველთვიურად და არა სამუშაოს მთლიანად. ან მისი ცალკეული ეტაპის დამთავრებისას, ე. ი. არ გაითვალისწინება ფაქტობრივად მიღებული შედეგები.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებების როლის ამაღლებისა და საწარმოო გაერთიანებების ეკონომიკის ძირითად რგოლად გადაქცევის კვალობაზე მეცნიერ მუშაკთა საქმიანობაში მალღდება სიინჟინრო და ორგანიზაციული ფუნქციების ხვედრითი წილი, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობაში მალღდება საკვლევადიებო ფუნქციების ხვედრითი წილი. დარგობრივ სამეცნიერო ტექნიკურ ორგანიზაციებში მომუშავეთა ყველა კატეგორია სამეცნიერო-ტექნიკური შრომის რეალურად არსებულ დონეებს წარმოადგენს. ისინი წარმოდგენილი არიან სამეცნიერო მუშაკების, კონსტრუქტორების, დამპროექტებლების, ტექნოლოგების სხვადასხვა კატეგორიებით.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში გამომუშავებული უნდა იქნეს მეცნიერ მუშაკთა ატესტაციის სისტემა მათი შრომის შეფასების ქმედითი მექანიზმის შექმნაში მისი როლის გაძლიერების მიმართულებით. აუცილებლად მიგვაჩნია შეფასების ისეთი სისტემის დამუშავება, რომლებშიც ასახული იქნება მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, დამპროექტებელთა, ტექნოლოგთა შრომის ეფექტიანობის შეფასების ერთიანი პრინციპები, ერთიანი პროცედურა და რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დარგში და ორგანიზაციაში. სამეურნეო ანგარიშის პირობებში აუცილებელია სწორედ სამუშაოს შედეგების შეფასება, ხოლო რაც შეეხება შრომის პროცესის ხარისხს და მუშაკთა სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს, ესენი შეიძლება განხილული იქნეს ფაქტორების სახით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ აუცილებელი შედეგების მიღებაზე, რადგანაც სამეცნიერო ორგანიზაციების შრომის შედეგს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება წარმოადგენს, ამ შედეგის მაჩვენებლებად შეიძლება გამოვიდეს საგემო დავალებათა შესრულების ხარისხი, მიღებულ გადაწყვეტილებათა სიახლე და პროგრესულობა, შედეგების გამოყენება — დანერგვა, დანერგილ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტიანობა, ე. ი. ეკონომიკური ეფექტი დანაბრჯთა ერთ მანეთზე გაანგარიშებით.

მეცნიერ მუშაკების უკუგების განმსაზღვრელ ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება: დავალებათა შესრულების ხარისხი, შრომის დაძაბულობა, შემოქმედებითი აქტიურობა, კვალიფიკაციის ამაღლება, საქმიანი თვისებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა, სოციალური თვისებები. მთავარ ფაქტორად ჩვენი აზრით, შეიძლება მიჩნეული იქნეს შემოქმედებითი აქტიურობა (პუბლიკაციების, სავტორო ნაწარმოებისა და სხვ. რაოდენობა). საყოველთაოდაა აღიარებული დასკვნა დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების ყველა კატეგორიების მუშაკთა გამართული აღრიცხვისა და სისტემატურა ობიექტური შეფასების აუცილებლობის, როგორც მართვის მეთოდის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის შესახებ.

სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციებში მეცნიერ მუშაკთა და სპეციალისტთა ინდივიდუალური უკუგების შეფასებისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს შრომის შეფასების გავრცელებული ბალურ-საექსპერტო მეთოდი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერტთა ჯგუფი (საატესტაციო კომისია) სამეცნიერო შრომის შედეგების, მუშაკის საქმიანი და პირადული თვისებების ანალიზის გზით ბალებში აფასებს სპეციალისტის სამეცნიერო საწარმოო საქმიანობის ყველაზე მთავარ შემადგენელ ნაწილებსა და პირად საქმიან თვისებებს.

განმაზოგადებელი შეფასება მიიღება შეფასებათა შეჯამებით თითოეული მათგანის წონადობის გათვალისწინებით. გამოიყენება ფორმულა $KO = \sum_{i=1}^n K_i \cdot C_i$ სადაც: KO — არის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკის საქმიანობის ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება (ბალებში). K_i — შეფასება (ბალებში) i -ური კრიტერიუმის მიხედვით. C_i — i -ური კრიტერიუმის მნიშვნელობის კოეფიციენტი, n — კრიტერიუმთა რიცხვი. K_i კრიტერიუმის მიხედვით შეფასებისათვის შეირჩევა სკალა 0-დან A-მდე, სადაც A — მუდმივი სიდიდეა ნებისმიერი f_i -ის პირობებში. პრაქტიკაში A ყველაზე მეტად ტოლია 1-ის, 10-ის ან 100-ის. ყოველი კრიტერიუმისათვის ფორმირდება ნიშნები შეფასების შესაბამის დონეებთან ერთად. კრიტერიუმთა ნიშნები ექსპერტებს შესაძლებლობას აძლევს შეჯამებების დაწესებისას უფრო ნათლად გაითვალისწინონ მიღწეული შედეგები ან კიდევ ხარისხის გამოვლენების დონე ყოველი მაჩვენებლის მიხედვით.

შრომის შედეგიანობის ბალურ — საექსპორტო შეფასების ჩატარების მიზანს უნდა წარმოადგენდეს მეცნიერ მუშაკის პირადი წვლილის განსაზღვრა საბოლოო შედეგების მიღწევაში შრომის დაძაბულობის, შემოქმედებითი აქტიურობის, საქმიანი თვისებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გათვალისწინებით. იგი აფასებს მუშაკის პოტენციალს, მის უნარს — შეასრულოს მოცემული დავალება.

რაოდენობრივი შეფასება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ მაჩვენებლებით, რომლებიც ახასიათებენ შრომის შედეგებსა და მუშაკის პირად თვისებებს. მხედველობაში მიიღება ყველაზე ახალი ტექნიკური გადაწყვეტილების შედეგობრივი ნიშან-თვისებები: კონსტრუქციების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, ნაწარმთა ხარისხი, მანქანების შრომატევადობა და მასალატევადობა, სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. შრომის შედეგიანობის შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ეტალონთან, უკუგების ნორმატივთან შედარების პრინციპი. ძირითადი სიძნელე აქ არის ეტალონის მოძიება და უკუგების ნორმირება. განსაკუთრებით რთულია შემოქმედებითი შრომის ნორმირება, რომლის წილად მოდის 6-დან 20%-მდე, საქმიანობის სახეობისა და დაკავებული თანამდებობის ხასიათიდან გამომდინარე¹. ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ დარგობრივ ინსტიტუტებში შესაძლებელია ნებისმიერი სახეობის საქმიანობის შედეგების ნორმირება, ან უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია მო-

¹ Пузыня К. Ф., Запаснюк А. С., Экономическая эффективность научно-исследовательских и опытно-конструкторских разработок в машиностроении. — Л.: Машиностроение, 1978, с. 35—37

იქებნოს ეტალონი შესადარებლად. შედეგების შეფასება უნდა ხდებოდეს სამუშაოს პირობების ანალიზთან და შეფასებასთან ურთიერთკავშირში და უნდა გაითვალისწინებოდეს კონკრეტული მუშაკის შრომის შედეგებისადმი წაყენებული მოთხოვნები. ჩატარებული გამოკვლევებისა და ლიტერატურულ მონაცემებზე² დაყრდნობით რეკომენდაციას ვიძლევი, რომ სამეცნიერო და საინჟინერო მუშაკთა შრომის შედეგებისა და ინდივიდუალური უკუგების შეფასება მოვხდინოთ იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც ახასიათებენ მუშაკის სამეცნიერო პროდუქტიულობასა და პირად თვისებებს. ყოველი კრიტერიუმის მიხედვით განსაზღვრულია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ სამუშაოს შედეგებს. ყოველი მაჩვენებელი უნდა გაიანგარიშებოდეს აბსოლუტური სისტემით. სამეცნიერო და საინჟინერო მუშაკების შრომის საერთო შედეგიანობა გაიანგარიშება როგორც ყველა მაჩვენებელთა მიხედვით მნიშვნელობათა შედეგი.

განვიხილოთ მეცნიერ მუშაკთა ინდივიდუალური უკუგების შეფასების (ბალებში) კრიტერიუმები და მაჩვენებლები.

I. სამეცნიერო პროდუქტიულობა

1. საეგემო დავალების შესრულების დონე: საკავშირო, რესპუბლიკური და დარგობრივი დონის სახელმწიფო შეკვეთების მიხედვით, 10—6 ბალი, ცალკეულ საწარმოებთან ხელშეკრულების მიხედვით, 5—1 ბალი.

2. მიღებული შედეგების სამეცნიერო-ტექნიკური დონე (სიახლე) თემებში (სამუშაოებში) მონაწილეობა, რომლის შედეგსაც წარმოადგენს: პრინციპულად ახალი სამეცნიერო-ტექნიკურ გადაწყვეტათა შექმნა, 10—6 ბალი;

არსებული სამეცნიერო-ტექნიკურ გადაწყვეტათა სრულყოფა, 5—1 ბალი;

3. მიღებული შედეგების დანერგვა. იმ სამუშაოებში მონაწილეობა, რომლებმაც კპოვეს ფართო პრაქტიკული გამოყენება. 10—7 ბალი;

— მომზადებულია ან მზადდება დასანერგავად, 6—3 ბალი;

— არ უპოვიათ ფართო პრაქტიკული გამოყენება, 2—1 ბალი;

4. შედეგების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა. იმ დანერგულ თემებში (სამუშაოებში) მონაწილეობა, რომელთა მიხედვით მიღებულია ეკონომიკური ეფექტიანობა ერთ მანეთ დანახარჯებზე 10-დან 5 მანეთამდე, 10—5 ბალი, იგივე 5 მანეთზე ნაკლები 4—3 ბალი;

თუ ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება არ ხერხდება, მაშინ 2—1 ბალი;

5. დავალების შესრულების ხარისხი:

სამუშაოს ხარისხი აღემატება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, მიღებული შედეგები გამოგონების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს, 10—9 ბალი;

სამუშაო ვადაშია შესრულებული, ამასთანავე მიღებულია დადებითი გამოძახილი, დასანერგავად რეკომენდაცია, 8—5 ბალი;

დავალბა შესრულებულია ვადაში, ამასთანავე მიღებულია შენიშვნა, 4—3 ბალი;

მიღებულია შემკვეთის უარყოფითი რეცენზია, 2—1 ბალი, სამუშაო დაბრუნებულია გადასამუშავებლად 0.

² Управление научно-техническими исследованиями и разработками в машиностроении, Киев: Наукова думка, 1987, с. 59—63.

პირადული მახასიათებლები

6. შემოქმედებითი აქტიურობა.
მიღებულია საავტორო მოწმობა გამოგონებაზე, 10 ბალი; შეტანილია განცხადება გამოგონებაზე 9—8 ბალი.
გამოძებნილია ახალი ეფექტიანი გადაწყვეტა 7—6 ბალი;
გამოძებნილია გადაწყვეტა არსებული კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად 5—4 ბალი;
სახეზეა პუბლიკაციები, მოხსენებები კონფერენციებზე, სემინარებზე გამოკვლევათა შედეგებთან დაკავშირებით, 10—5 ბალი. სამუშაოს შესრულებისადმი ფორმალური დამოკიდებულება, 2—1 ბალი;
7. შრომის დაძაბულობა.
გეგმურ დავალებათა შესრულება ხარისხოვნად და ვადაში, ამასთანავე: ზეგეგმურ სამუშაოთა შესრულება, 10—9 ბალი;
იმ სამუშაოთა შესრულება რომლებიც უფრო დაბალ კვალიფიკაციას მოითხოვს, 2—1 ბალი;
დამატებითი დავალებების ხარისხიანად და ვადაში შესრულება, 6—5 ბალი;
სამუშაოთა არადროული შესრულება, რომელიც შემსრულებლის მიზეზით არ ყოფილა გამოწვეული, 4—3 ბალი;
იმ სამუშაოთა შესრულება, რომლებიც უფრო დაბალ კვალიფიკაციას მოითხოვს, 2—1 ბალი;
8. კვალიფიკაციის ამაღლება.
დისერტაციის დაცვა 10—9 ბალი;
ასპირანტურაში სწავლა, მაძიებლობა, საკანდიდატო მინიმუმის გამოცდების ჩაბარება, 8—7 ბალი;
მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სწავლა, 6—5 ბალი;
მომზადებულია მოხსენებები საპრობლემო სემინარებისათვის, 4—1 ბალი;
არ იმაღლებს კვალიფიკაციას, — 0.
9. საქმიანი თვისებები
ინიციატურობა, სამუშაოს შესრულება შემოქმედებითად, დამოუკიდებლად, 10—8 ბალი;
სამუშაოს შესრულება პასუხისმგებლობის გრძნობით, დამოუკიდებლად, 7—4 ბალი;
სამუშაოთა შესრულება უფროსის მხრიდან მუდმივი კონტროლის ქვეშ 3—1 ბალი;
10. საზოგადოებრივ — პოლიტიკური საქმიანობა:
არჩევითი თანამდებობა, 10—8 ბალი,
მუდმივ დავალებათა შესრულება 7—4 ბალი;
ერთჯერად დავალებათა შესრულება 3—1 ბალი;
11. სოციალური თვისებები:
ამხანაგებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს, ფორმალური ან არა-ფორმალური ლიდერია, 10—8 ბალი;
თანამშრომლებთან ნორმალურ დამოკიდებულებაშია, კოლექტივის ნდობით სარგებლობს, 6—4 ბალი;

კოლექტივის მიმართ ნეიტრალურია 3—1 ბალი;

კოლექტივში ქმნის დაძაბულ მდგომარეობას 0.

ატესტირებულის მიერ დაგროვილი ბალების საერთო რაოდენობა უნდა შედარდეს ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების ეგრეთ წოდებულ შრომის შედეგიანობის სკალას, რომლის საფუძველზეც მოიცემა მუშაკის შრომის შედეგების ხარისხობრივი დახასიათება. შეიძლება მიღებული იქნეს შეფასების ასეთი სკალა — მუშაკის საქმიანობა მაღალშედეგიანია (I დონე, ბალების რაოდენობა 110—90), საკმაოდ შედეგიანია (II დონე, 89—50), არასაკმაოდ შედეგიანია (III დონე, 49—36) ნაკლებშედეგიანია (IV დონე, 35—12).

სკალის გარკვეული დონისადმი შესაბამისი ბალების რაოდენობით უნდა განისაზღვროს მუშაკის შრომითი წვლილის საერთო შეფასება. მუშაკის საქმიანობის შეფასება როგორც მაღალშედეგიანის უნდა წარმოადგენდეს მისი თანამდებობრივი დაწინაურების, ან ხელფასზე დანამატის დაწესების საფუძველს. მუშაკის საქმიანობის შეფასება როგორც ნაკლებშედეგიანის იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული მუშაკი თავისი შრომის ხარისხითა და შედეგიანობით არ შესაბამეობა დაკავებულ თანამდებობას.

ამასთანავე არავითარ ბალურ სისტემას არ შეუძლია სამეცნიერო შრომის რაოდენობისა და ხარისხის ამომწურავი დახასიათება. მასთან ერთად ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული თანამშრომლის შესაძლებლობათა არაფორმალური შეფასება იმ კოლექტივის მხრიდან, სადაც იგი მუშაობს. ყოველ კოლექტივში ხომ კარგად იციან, თუ ვინ რა „ღირს“. ამიტომ ატესტაციის წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შევქელით კოლექტივში მომთხოვნელობის, გულახდილობისა და პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროს შექმნა. უკანასკნელ ხანებამდე მუშაკთა ატესტაცია წარმოებდა სამეცნიერო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. მიზანმიმართულა კოლექტივის უშუალო მონაწილეობა ატესტაციის ჩატარებაში. ამასთანავე თვითონ შემსრულებლები ამუშავენ შეფასების კრიტერიუმებს და იძლევიან წინადადებებს ატესტაციის ჩატარების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით. ეს საშუალებას იძლევა ყველა კატეგორიის სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისათვის უფრო ობიექტურად განისაზღვროს ხელფასის სიდიდე მათი პირადი წვლილის გათვალისწინებით. ატესტაციის პროცედურას შეიძლება დაემატოს სოციოლოგიური გამოკვლევის ელემენტები და ამით მუშაკის ატესტაციაში ჩაებას იმ კოლექტივის ყველა წევრი, რომელშიაც იგი მუშაობს. კოლექტივის დაინტერესებას იმაში, რომ განთავისუფლდეს იმ მუშაკებისაგან, რომლებმაც დააქვეითეს თავიანთი შედეგიანობა, ხელს შეუწყობს ატესტაციის პროცესში გამოთავისუფლებული სახსრების მის განკარგულებაში გადაცემას.

ვფიქრობთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მეცნიერ მუშაკთა პირადი წვლილის ბალურ-საექსპორტო შეფასება დაგვეხმარება მეცნიერული შრომის ანაზღაურებაში არსებული გათანაბრების დაძლევაში, ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დაჩქარებულ გადაწყვეტას, იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში შეზღუდვის მოსპობას, რომლებმაც მაღალ საბოლოო შედეგებს მიაღწიეს, მეცნიერული საქმიანობისათვის გამოუსადეგარი პირების გამოთავისუფლების ხარჯზე.

И. М. РУБИНШТЕЙН

ВОПРОСЫ МЕТОДИКИ ОЦЕНКИ РЕЗУЛЬТАТИВНОСТИ ТРУДА
НАУЧНЫХ РАБОТНИКОВ

Резюме

Рассмотрены методические вопросы оценки результативности труда научных работников в условиях полного хозрасчета и самофинансирования. Предложены критерии и показатели оценки, характеризующие научную продуктивность и личностные характеристики работника.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

3. შ. გრიგოლაშვილი

СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ТРУДА В ТОРГОВЛЕ В УСЛОВИЯХ УСКОРЕННОГО РАЗВИТИЯ НАШЕГО ОБЩЕСТВА

Перед партией и всем советским народом стоит задача исторической важности — обеспечить осуществление стратегического курса ускорения социально-экономического развития страны. Этот стратегический курс партии на нынешнем этапе жизни нашего общества требует глубокого политико-экономического обобщения и экономического мышления нового современного типа.

В докладе на XIX Всесоюзной конференции Коммунистической партии Советского Союза Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев обратил внимание на то, что «предложение товаров и услуг продолжает отставать от роста покупательной способности населения, что в немалой мере обусловлено как запущенностью этой сферы, так и отношением к ней»¹.

Решение поставленной задачи во многом зависит от повышения эффективности живого труда в торговле.

Обязательное условие для существования общества — труд. Трудом создаются материальные и духовные ценности, в процессе труда происходит и формирование человека. Всякое общество заинтересовано в рациональном использовании труда, но характер труда в разных общественно-экономических формациях неодинаков. Он зависит от того, в чьих руках сосредоточены средства производства. Частная собственность на средства производства — основа принудительного характера труда. В. И. Ленин отмечал, что «определённой политико-экономической категорией является не труд, а лишь общественная форма труда, общественное устройство труда, или иначе: отношения между людьми по участию их в общественном труде»².

Социалистический способ производства определяет совершенно новое содержание труда. Это прежде всего выражается в том, что взаимоотношения людей в труде свободны от эксплуатации. Люди трудятся для себя и общества. Характеризуя труд при социализме, В. И. Ленин указывал, что «впервые после столетия труда на чужих, подневольной работы на эксплуататоров является возможность работы на себя, и притом работы, опирающейся на все завоевания новейшей техники и культуры»³.

Социализм даёт каждому члену общества гарантию права на труд и в то же время требует от всех обязательного трудового участия в социалистическом производстве. В Конституции СССР записано:

¹ Материалы XIX Всесоюзной конференции Коммунистической партии Советского Союза М., 1988 г., с. 12.

² В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 7, с. 45.

³ В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 35, с. 196.

«Общественно полезный труд и его результаты определяют положение человека в обществе. Государство, сочетая материальные и моральные стимулы, поощряя новаторство, творческое отношение к работе, способствует превращению труда в первую жизненную потребность каждого советского человека»⁴.

При социализме общественное разделение труда носит новое содержание и осуществляется планомерно на базе общественной собственности. Труд планомерно распределён между отраслями, подотраслями, предприятиями общественного производства, городом и деревней, территориальными единицами. «Когда общество, — указывал Ф. Энгельс, — вступает во владение средствами производства и применяет их для производства в непосредственно обобществленной форме, труд каждого отдельного лица, как бы различен ни был его специфически полезный характер, становится с самого начала и непосредственно общественным трудом»⁵.

Полная занятость трудоспособного населения и оптимизация распределения трудовых ресурсов — важнейшая задача планирования народного хозяйства. Обеспечение полной занятости населения находится в непосредственной связи с законом социалистического накопления, сущность которого состоит в необходимости накопления определённой части национального дохода. Вместе с тем, полная занятость тесно связывается также с характером воспроизводства населения, в чём и доминирует стремление членов общества к удовлетворению своих материальных и духовных потребностей.

Таким образом, социалистическое накопление и возмещение затрат рабочей силы создают тесную взаимосвязь явлений, где с удовлетворением материальных и духовных потребностей населения связывается возмещение затрат рабочей силы, решающее условие которой — реальный доход семьи.

В системе экономических законов социализма, которая является основой оптимизации использования трудовых ресурсов, значительное место занимает закон экономии времени. В этом законе отражается постоянный процесс повышения эффективности труда и разумное сокращение непроизводительных затрат. Его объективное требование — эффективное использование живого и овеществленного труда. Классики марксизма-ленинизма неоднократно отмечали, что развитие общества, всесторонность его потребления и его деятельности зависят от экономии времени. Социалистическое государство заинтересовано в общественном прогрессе, достигнутый уровень которого определяет величину свободного времени. Со своей стороны прогрессивные изменения структуры свободного времени получают конкретное выражение в содержании и результатах труда. На XXVII съезде КПСС тов. М. С. Горбачев подчеркнул, что «качественные сдвиги в социальной сфере невозможны без глубоких преобразований в содержании труда»⁶.

На современном этапе развития экономики выдвинутая партией задача сокращения трудовых затрат предъявляет усиленные требования повышению эффективности трудовых затрат в сфере обращения.

⁴ Конституция СССР, М., 1977, с. 10.

⁵ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., Т. 20, с. 321

⁶ Материалы XXVII съезда КПСС, М., 1986, с. 48.

В торговле, как и в других отраслях народного хозяйства, труд людей выступает как целенаправленная деятельность. Поскольку реальный процесс социалистического расширенного воспроизводства подразумевает доведение товара с производства до потребителя путем купли-продажи, т. е. в результате смены форм стоимости, постольку в торговле затраченный труд — обязательная часть общественного труда и находит своё вещественное выражение в социалистическом совокупном общественном продукте.

При социализме все виды труда по своему содержанию — разные стороны одного целого, основаны на одной целевой системе социалистических производственных отношений и развиваются под воздействием экономических законов социализма. Требования этих законов реализуются посредством трудовой деятельности работников и отражаются в их интересах и потребностях.

Труд работников торговли, как составная часть общественного труда, находится с ним в тесной взаимосвязи и зависит от него. Поэтому трудовые затраты работников торговли следует рассматривать не изолированно от социально-экономических условий трудовой деятельности всех членов общества, а в диалектической взаимосвязи и взаимообусловленности с ними.

Вместе с тем, затраченный в товарообращении труд имеет и определённое самостоятельное значение и отличается от других видов общественного труда. Его самостоятельность и отличие в основном обусловлены особенностями товарообращения и специфичностью трудовых функций, связанных с доведением товара с производства до потребителя.

Затраченный в товарообращении труд выступает как целенаправленная деятельность определённых членов общества, их способность выполнять одну какую-либо операцию из процесса доведения товаров с производства до потребителя с одновременным и взаимосвязанным расходом умственной, физической и нервной энергии. Труд работников торговли продукции не создаёт, все конкретные формы трудового процесса связаны только с доведением товаров с производства до потребителя, что происходит в результате смены форм их стоимости.

В сфере товарообращения живой и овеществленный труд, функционируя одновременно, оказывают друг на друга воздействие и дополняют друг друга. Во взаимосвязи с овеществленным трудом ведущая и определяющая роль принадлежит живому труду, между ними оптимальное соотношение определяется по уровню развития общественных производительных сил и по производству соответствующих средств. На современном этапе развития экономики задача состоит в том, чтобы соотношение изменилось в пользу овеществленного в технических средствах труда. Научно-техническая революция подготовила объективные условия для решения этих задач. Сегодня на некоторых торговых предприятиях почти все операции автоматизированы, интенсивно используются различные кибернетические роботы. На базе кибернетической техники удалось автоматизировать такую сложную операцию, как расчет с покупателями. Кибернетические кассы-роботы производят экспресс-анализ денежных знаков. Роботы контролируют также выход покупателей из магазина.

Таким образом, в ближайшем будущем появится возможность достижения высокой степени автоматизации процессов реализации товаров в сфере обращения. В товарообращении пока уровень авто-



матизации довольно низкий, что со своей стороны в соотношении обуславливает высокий удельный вес ручного труда.

Затраченный в сфере товарообращения труд, в частности, в торговле классифицируется по разным признакам. Согласно марксистскому учению, обмен или обращение, как одна из фаз воспроизводства, характеризуется только свойственными ему специфическими функциями, которые определяются их общественным назначением.

Два момента основной функции торговли — реальное движение товара от производства до потребителя и реализация стоимости путем органического взаимного сочетания создают один цельный процесс. Внутри этого единого процесса трудовые затраты работников торговли во времени и пространстве осуществляются одновременно. Естественно, отдельные виды труда работников торговли имеют и самостоятельное значение, поскольку представляют его характер и содержание, дают также представление о пропорциях трудовых затрат.

Реальный процесс вещественного движения товара подразумевает транспортирование, хранение, сортировку, комплектование, расфасовку, дополнительную обработку, упаковку товаров. Эти операции К. Маркс рассматривал как процессы производства, которое впоследствии продолжается в пределах процесса обращения и для процесса обращения. «...В известной степени входят в стоимость товара и, следовательно, удорожают товары»⁷.

При продолжении производственных процессов в торговле не создается новая потребительная стоимость. Концентрируя в своих складах товары, торговля предотвращает их порчу, поскольку «продукт только тогда готов к потреблению, когда он закончит это продвижение»⁸.

При выполнении операции производственного характера затрачивается труд, цель которого состоит не в изменении форм стоимости, а в сохранении существующей в товаре стоимости, которое, как отмечает К. Маркс, возможно путём сохранения самой потребительной стоимости. «Стоимость товара, — указывает К. Маркс, — при этом сохраняется или увеличивается только потому, что потребительная стоимость, самый продукт ставится в такие определенные предметные условия, которые вызывают затрату капитала, продукт подвергается таким операциям, посредством которых на потребительные стоимости воздействует добавочный труд»⁹.

Именно эти аспекты специфических особенностей позволяют охарактеризовать труд работников торговли, связанный с продолжением процессов производства в сфере обращения как производительный труд, который, правда, не создает, но увеличивает совокупный общественный продукт и участвует в создании национального дохода.

Доведение товара до потребителя в условиях существования товарно-денежных отношений подразумевает объективную необходимость процесса купли-продажи, и затраченный на его осуществление труд работников представляет непроизводительный труд. Этот вид труда не участвует в создании ни стоимости товаров, ни национального дохода. Правда, связанные с этим видом труда непроизводительные затраты возмещаются на счет созданного на производстве чисто-

⁷ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 24, с. 157.

⁸ Там же, с. 170.

⁹ Там же, с. 158.

го дохода, но этот труд с народнохозяйственной точки зрения необходим и очень нужен. К. Маркс писал: «Он выполняет необходимую функцию, потому что сам процесс воспроизводства заключает в себе и непроизводительные функции... он приносит пользу тем, что благодаря его деятельности менее значительная часть рабочей силы и рабочего времени общества затрачивается на эту непроизводительную функцию»¹⁰.

Сформировавшаяся по мере развития экономики нашей страны тенденция — сокращение доли трудовых затрат работников торговли, связанных с продолжением производственных процессов, в общих затратах на современном этапе научно-технического прогресса носит закономерный характер. Повышение культуры обслуживания, углубление общественного разделения труда и освобождение торговли от чуждых ей функций в перспективе вновь вызовет увеличение доли непроизводительного труда, а с другой стороны, сокращение доли производительного труда, что следует считать закономерным. С увеличением непроизводительного труда тесно связано сокращение затрат на потребление — объективный показатель экономического потенциала страны и общественного богатства. «Страна тем богаче, — отмечает К. Маркс, — чем меньше, при одном и том же количестве продуктов, производительное население по отношению к непроизводительному. Ведь относительная малочисленность производительного населения была бы только другим выражением относительной высоты производительности труда»¹¹.

Труд работников сферы обращения, взятый в целом, представляет совокупность множества составных элементов, формирование которых определяется внутренним, межотраслевым и внутриотраслевым разделением труда. Разделение, тесно и непрерывно связываясь с кооперацией труда, вместе с ними создаёт взаимообуславливающие процессы. Исходя из этого, выделение отдельных комплексов трудовых операций из общего процесса следует осуществлять на основе единства процесса обращения.

Основные направления экономического и социального развития СССР на 1986—1990 годы и на период до 2000 года на базе намеченного партией научно-технического прогресса, в соответствии с задачами ускорения социально-экономического развития страны предусматривают качественно более высокий уровень удовлетворения все более растущих потребностей советских людей. «Обеспечить дальнейший подъем растущих материальных и духовных потребностей советских людей. Усилить воздействие социальных мероприятий на развитие производства и рост его эффективности»¹². Один из важнейших путей реального достижения этой цели — повышение эффективности использования материальных и трудовых ресурсов. Оптимизация использования трудовых ресурсов — первоочередная проблема сферы обращения, от правильного решения которой во многом зависит формирование разумных потребностей, развитие социалистической культуры быта и отдыха, полноценное использование свободного времени.

Следует отметить, что в последние годы в нашей экономической литературе все больше внимания уделяется вопросам повышения эф-

¹⁰ Там же, с. 150.

¹¹ Там же, т. 26, 4, I, с. 215.

¹² Материалы XXVII съезда КПСС, М., 1986, с. 311

фективности сферы обращения. Естественно, эта проблема на современном этапе представляет стратегическое направление развития отраслей сферы обращения, но некоторые её теоретические и практические вопросы пока ещё в полной мере не разработаны. Особенно это можно сказать о вопросах повышения эффективности живого труда, которые еще не становились в литературе предметом специального обсуждения. В некоторых учебниках экономики советской торговли эффективность труда отождествлена с производительностью труда и ее рассмотрение ограничивается только характеристикой путей повышения производительности труда¹³.

Для правильного определения сущности эффективности труда необходимо различить понятия «эффективность труда в торговле» и «эффективность торговли» и установить взаимосвязь и взаимообусловленность между ними.

Эффективность труда в торговле отражает экономическую и социальную сторону трудовых процессов и определяется через соотношения полученных результатов со всеми видами трудовой деятельности.

Эффективность торговли подразумевает полное удовлетворение платежеспособного спроса каждого члена общества в условиях оптимизации соотношения качества обслуживания и затрат.

На основе обобщенного единого критерия эффективности торговли определяется эффективность труда в торговле, которая вместе с другими социально-экономическими показателями выступает как средство его измерения. Полезный эффект труда в торговле отражается в степени уровня производительности труда и использования трудовых ресурсов.

Эффективность труда и производительность труда — разные понятия, но не противоположные. Эффективность труда более широкое понятие, чем производительность труда. Разница состоит в соотношении показателей как результатов труда, так и затрат. При определении производительности труда его результат выражается в объеме товарооборота на одного работника в единицу времени, и фиксация этого результата происходит непосредственно после завершения трудового процесса. Следовательно, в роли основы оценки труда работников выступает количественное выражение его результата. Что касается эффекта труда, за основу его определения наряду с материальным содержанием выступают и социальные результаты, что в первую очередь отражается в сокращении издержек потребления и в повышении качества обслуживания. Социальные аспекты эффективности труда — сокращение издержек потребления и повышение качества обслуживания находятся в постоянной взаимосвязи с качеством труда. Качество труда работников торговли находит выражение в его конечных результатах. Чем выше качество труда, тем выше его результат, а чем сложнее труд, тем выше его качество. Но сложность труда работников торговли и качество труда не следует отождествлять друг с другом. Качество труда не зависит только от его сложности, сложность трудовых функций требует соответствующей квалификации, но степень сложности трудовых операций не всегда соответствует уровню квалификации работников. Из проведенного нами анализа выясняется, что на практике часты случаи, когда квалификация работников и сложность трудовых процессов совпадают друг с другом, но результаты их труда дают совершенно противоположную картину. Естественно,

¹³ См. Экономика торговли, учебник, М., 1966, с. 386.

это результат того, что качество труда определяется не только уровнем квалификации работников и сложностью труда, но и системой взаимодействующих и взаимообусловленных факторов, в которой свое самостоятельное значение имеют дисциплина труда и ответственность, демократизация управления, ленинские принципы социалистического контроля, усиление гражданской активности и творческой инициативы и др.

В условиях ускоренного развития социалистического общества высокая культура обслуживания населения — первейшая задача, стоящая перед торговлей, решение которой в значительной степени зависит от того, какая тесная логическая взаимосвязь между количеством труда и его качеством. Задача состоит в оптимизации этой связи. От оптимального сочетания между ними зависит материальное и моральное стимулирование работников торговли. Как основной рычаг повышения качества обслуживания покупателей, система стимулирования в новом механизме хозяйствования представляет существенный экономический метод управления торговлей, который сочетается с важным принципом хозяйственного расчета — с материальной заинтересованностью предприятий торговли и их работников.

Материальное и моральное стимулирование как система, отражающая социальные аспекты труда, является закономерным и обязательным спутником труда работников торговли. В реальном процессе функционирования торговли факторы интенсификации труда действуют в логической взаимосвязи и совокупности с экстенсивными факторами. Интенсификация труда в торговле не может отрицать значения экстенсивных источников развития в повышении ее эффективности, хотя снижение их роли и доли носит закономерный характер.

Следует отметить, что многие ученые экономисты всякий рост количества работников в торговле считают признаком расширения экстенсивной деятельности. По нашему мнению, это положение требует уточнения, в частности, темп интенсификации труда работников торговли определяется не только экономическими результатами, а в непосредственной диалектической взаимосвязи с социальными результатами. Поэтому становится необходимым планировать основные направления интенсификаций труда в торговле, прежде всего исходя из социальных требований развития, что со своей стороны вызовет расширение номенклатур обслуживания. Появится необходимость привлечения дополнительной рабочей силы. Правда, возможности привлечения новой рабочей силы в торговле на сегодня весьма ограничены, но резервы полностью еще не исчерпаны. Это особенно касается пенсионеров, студентов и других категорий потенциальных работников, труд которых может быть использован как сезонно, так и в условиях неполного рабочего дня и неполной рабочей недели.

В комплексной программе производства товаров народного потребления и развития сферы услуг на 1986—2000 годы записано:

«Активнее привлекать к работе домашних хозяек, студентов, пенсионеров, инвалидов на условиях неполного рабочего дня или неполной рабочей недели»¹⁴.

Высокий уровень качества торгового обслуживания соответственно требует высокого качества товаров и изобилия ресурсов. Имеет также значение развитие материально-технической базы на

¹⁴ Комплексная программа развития производства товаров народного потребления и сферы услуг на 1986—2000 годы. М., 1985, с. 33.

современном научно-техническом уровне. Дальнейшего совершенствования требуют режим работы предприятий торговли, его организация и технология. Чем оптимальнее рабочий день в других одинаковых условиях, тем меньше труда требуется для доставки товара от производства до потребителя и тем эффективнее используется затраченный труд, но следует отметить, что в повышении качества обслуживания решающую роль все же играет человек, его умение. Поэтому на сегодня в центре экономической, политической и хозяйственной практики все больше стоит человек с его реальными интересами и потребностями.

На июньском (1987 г.) Пленуме Центрального Комитета КПСС в своем докладе тов. М. С. Горбачев указал: «Здесь крайне важно все — организация труда и форма стимулирования, система занятости, ситуация на потребительском рынке, состояние социально-культурного обслуживания. Каждая из названных областей должна быть рассмотрена с точки зрения активизации человеческого фактора»¹⁵.

Активизация человеческого фактора зависит от степени его всестороннего развития, свободного времени, в течение которого он применяет и развивает свои способности. Развитие способностей членов общества имеет первостепенное значение в деле неуклонного роста производительности общественного труда, который является главным источником роста совокупного общественного продукта.

¹⁵ Материалы июньского /1987 г./ Пленума ЦК КПСС, М., с. 64.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის არასაწარმოო სფეროს ეკონომიკური პრობლემებს განყოფილებამ.

რამაზ ახმეტელი

სოციალური სფერო: სრულყოფის ეკონომიკური ასპექტები

ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად იხმარება „სოციალური სფეროს“ ცნება. სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ „სოციალურა სფერო აერთიანებს კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ინტერესებს, შრომისა და ყოფაცხოვრების, ჯანმრთელობისა და დასვენების პირობებს. აქ ხდება ეკონომიური საქმიანობის შედეგების რეალიზაცია, რაც მშრომელთა ცხოვრებისეულ ინტერესებთანაა დაკავშირებული“¹. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნება, „სოციალური სფერო“, იხმარება საკუთრების ფორმათა სტრუქტურის ცვლილებასთან², მოხმარების მასტიმულირებელი ფუნქციისა და წარმოების მონაწილეთა მატერიალური დინტერესების გაძლიერებასთან; სამომხმარებლო და შრომითი აქტიურობის სინქრონულ განვითარებასთან, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით³. და ბოლოს, ცნება, „სოციალური სფერო“ განსაკუთრებით ინტენსიურად გამოიყენება განაწილებითი ურთიერთობების, სოციალური სამართლიანობის სოციალისტური პრინციპის განხილვისას.

ახალი ცნების შემოსვლა, როგორც წესი, ნიშნავს ან კვლევის ახალი ობიექტის გაჩენას, ან ცნობილ ობიექტზე თვისებრივად ახალი შეხედულების წარმოშობას⁴.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ ახალი ტერმინის გამოჩენამდე, გამოიყენებოდა მთელი რიგი ტერმინებისა, რომლებითაც აღინიშნებოდა ის ობიექტები და ურთიერთკავშირები, რომლებიც დღეს „სოციალური სფეროს“ ცნებასთან დაკავშირებით იხმარება. ასეთებია უპირველეს ყოვლისა — „არასაწარმოო სფერო“, „მომსახურების სფერო“, „არამატერიალური წარმოების სფერო“, „სოციალური ინფრასტრუქტურა“ და სხვა.

ჩვენი აზრით, „სოციალური სფეროს“ ცნების არსის დადგენისათვის, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია განისაზღვროს ის ახალი თვისებები, რომლებიც მან უნდა ასახოს, უკვე ცნობილ ტერმინებთან შედარებით.

სახალხო მეურნეობის სფეროებად დანაწილებას საფუძვლად უდევს შრომის დაყოფა მისი ეკონომიკური ბუნების მიხედვით — წარმოებრივი და არა-

¹ სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1987, გვ. 58.

² Миккульский К. И. Взаимодействие экономической и социальной политики. М.: Экономика, 1987, с. 24.

³ იქვე, გვ. 36—37.

⁴ Важенни С. Г. Социальная инфраструктура народнохозяйственного комплекса. М.: Наука, 1984, с. 8.

წარმოებრივი შრომის განსხვავება. ამ საკითხს ეხება ბევრი გამოკვლევა, ამიტომ აქ მისი დეტალური განხილვა ზედმეტად მიგვაჩნია. შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ ასპექტზე.

ასეთი დაყოფა განაპირობებს, სხვათა შორის, არასაწარმოო სფეროში დანახარებისა და შედეგების ფუნქციონირების თავისებურებების განსაზღვრას. მატერიალური და შრომითი დანახარებები, არასაწარმოო სფეროში — პირადი მოხმარების ნაწილია. არასაწარმოო სფეროს მუშაკთა შრომა არ ქმნის და არ ზრდის რა ღირებულებას, ამით არასაწარმოო სფეროში გამოყენებულ მატერიალურ სახსრებს ვადააქვევს მოხმარების საგნებად.

ამის შედეგად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კრებებით მაჩვენებლებში არასაწარმოო სფეროში შრომის შედეგები არ გაითვალისწინება. ასეთ მიდგომას შეიძლება ჰქონდეს არსებობის უფლება, მაგრამ იგი არ არის საკმარისად პროდუქტიული — იწვევს ნეგატიურ შედეგებს, მეურნეობრიობის პრაქტიკაში და გარდა ამისა არ წყვეტს სახალხო მეურნეობის მართვის მეთოდოლოგიურ პრობლემებსაც.

კერძოდ, რაკი სოციალური ღონისძიებების ეკონომიკური შედეგები არ იზომება, არ აღირიცხება — რესურსები, უპირველეს ყოვლისა, წარიმართება იმ დარგებში, რომლებიც საგრძნობად ზრდიან შედეგების მაჩვენებლებს. (ეროვნულ შემოსავალს და სხვა). ასეთნაირად არასაწარმოო სფეროს განვითარებაზე რესურსების გამოყოფის „ნარჩენითი პრინციპი“ არა მარტო დასაბუთებულად, არამედ გონიერულადაც მოჩანს.

ამავე დროს სკვპ თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა ემყარება დებულებას, რომლის თანახმად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესაძლებლობათა რეალიზაციის მთავარი მიმართულებაა ეკონომიკური ზრდის სოციალური ფაქტორების აქტივიზაცია. სწორედ ამიტომია, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრიადაში: წარმოება-განაწილება — სოციალური განვითარება, ორმხრივი ურთიერთკავშირების კვლევას⁵.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ცნებას „სოციალური სფერო“ აქვს შინაარსობრივი დატვირთვა, განსხვავებული არასაწარმოო სფეროს ცნებისაგან. იგივე ეხება ისეთ ცნებებსაც, როგორცაა მომსახურების სფერო, არამატერიალური წარმოების სფერო და სხვა. ამა თუ იმ დარგისა თუ საქმიანობის სახის სოციალური სფეროსათვის მისაკუთვნებლად არ გამოგვაადგება აქ დახარჯული შრომის ეკონომიკური ბუნების ნიშანი.

„სოციალური სფეროს“ ცნებასთან ახლოსაა აგრეთვე „სოციალური ინფრასტრუქტურის“ ცნება. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმ დარგებსა და საქმიანობის სახეებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ უშუალოდ მოსახლეობას. ამიტომ, ჩვენი აზრით, —სოციალური სფეროს“ ცნება მოიცავს იმას, რასაც სოციალურ ინფრასტრუქტურას უწოდებენ.

ადამიანის მოთხოვნილებებიდან ყველა როდი კმაყოფილება სოციალურ ინფრასტრუქტურაში. მათი ნაწილის რეალიზაცია წარმოების პროცესშიც ხდება. უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია წარმოების და საზოგადოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობა, რომელიც შრომისა და საზოგადოებრივ-პოლიტი-

⁵ Коммунист, 1987, № 13, с. 15.

კურ საქმიანობაში, თვითგანმტკიცებაში ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

აქამდე „სოციალური სფეროს“ ცნების შინაარსის განხილვისას ჩვენ ადამიანის, პიროვნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესით ვიზუალებოდით. ამასთან თვით მოთხოვნილებები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი კლასის, სოციალური ჯგუფის თუ ეთნოსის წარმომადგენელია ეს ადამიანი. ამიტომ „სოციალური სფეროს“ ცნებაში შედის აგრეთვე საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი და ეთნოსოციალური სტრუქტურა.

აქსიომა სოციალიზმის პირობებში როგორც ეროვნული, ასევე სოციალურ-კლასობრივ ურთიერთობებში სრული ჰარმონიის შესახებ, როგორც ბოლო წლების მოვლენები გვიჩვენებს, არც თუ უტყუარი აღმოჩნდა. სოციალურ-კლასობრივ და ეროვნებათშორის ურთიერთობებზე შემოქმედების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. თანაც ცხადია, რომ ყველა მძაფრი მომენტი აღნიშნულ ურთიერთობებში ეფუძნება მოთხოვნილებებსა და ინტერესებში არსებულ წინააღმდეგობებს და წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ჯგუფური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ორგანიზაცია არარაციონალურია. ამიტომ „სოციალური სფეროს“ ცნებაში შედის სოციალურ-კლასობრივი და ეროვნებათშორისი ურთიერთობებიც.

შემოთ ჩვენ შევეხეთ მოთხოვნილებების ორგანიზაციას, როგორც სოციალურ-კლასობრივ და ეროვნებათშორისი ურთიერთობების სტაბილურობაზე მოქმედ ფაქტორს. ასეთივე როლს მოთხოვნილებების ორგანიზაცია თამაშობს მაშინ, როდესაც ლაპარაკია პიროვნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ბოლო დროს, სოციალური სფეროს სრულყოფაზე ლაპარაკისას, აღნიშნულ კონტექსტში, ხაზი ესმევა განაწილების სოციალისტური პრინციპის უფრო სრული რეალიზაციის აუცილებლობას. როგორც პარტიულ დოკუმენტებში, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციებში განიხილება თეზისი სოციალური სამართლიანობის ტერიტორიული ასპექტის შესახებ. ამ უკანასკნელის ქვეშ გულისხმობენ, როგორც „თვითთვლისაგან უნარის მიხედვით, თვითთვლს შრომის მიხედვით“ პრინციპის გადატანას დოვლათის რეგიონებს შორის განაწილებაზე. აგრეთვე ადამიანთა ყოფაცხოვრების პირობების გათანაბრებასაც. ამიტომ აუცილებელია აღინიშნოს, რომ სოციალური სფეროს ცნებაში შედის აგრეთვე მოთხოვნილებების (როგორც პირადული, ასევე ჯგუფური) დაკმაყოფილების პრინციპი.

ყოველივე შემოთქმულიდან გამომდინარე სოციალური სფერო შეიძლება დაეხასიათოს, როგორც პიროვნულ და ჯგუფურ-სოციალურ-კლასობრივ, ენო-სოციალურ და ტერიტორიულ მოთხოვნილებათა რეალიზაციასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა.

აქვე აუცილებელია გარკვეულ იქნას საზღვარი ეკონომიკური საქმიანობასა და სოციალურ სფეროებს შორის. ჩვენი აზრით, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ურთიერთობანი ჯაქვში: მუშაკი — შრომითი კოლექტივი — სახელმწიფო, ხოლო სოციალური სფერო კი მოიცავს ურთიერთობებს პიროვნებას (ოჯახს) ჯგუფს (სოციალურ-კლასობრივს, ეთნიკურს, ტერიტორიულს) და სახელმწიფოს შორის.

იმის დასაბუთებას, რომ სოციალური სფერო შეიძლება იყოს ეკონომიკური თეორიის შესწავლის საგანი, რომ აქ ადგილი აქვს ეკონომიკურ ურთიერთობებს, არ შევუძლებით. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მიმართოს ამ საკითხისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურას.

სოციალური სფეროს „სივრცობრივი“ დახასიათებისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნილებათა ჩამონათვალის დადგენა. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს არაერთი ასეთი ჩამონათვალი, რომელიც ასახავს პიროვნების მოთხოვნილებების მთელ კომპლექსს⁶. შემდეგი ამოცანაა საზოგადოებრივი საქმიანობის იმ დარგებისა თუ ინსტიტუტების დადგენა, სადაც ხდება აღნიშნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამათ განეკუთვნება სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები, წარმოების მართვის ორგანიზაციული ფორმები, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია და სხვა.

ამასთან ცხადია, რომ ცალსახა კავშირის დამყარება, ერთის მხრივ, მოთხოვნილების გარკვეულ სახესა და, მეორეს მხრივ, სოციალური სფეროს დარგებსა თუ ინსტიტუტებს შორის შეუძლებელია. ყოველი დარგი, ინსტიტუტი, ემსახურება მოთხოვნილებების მთელი კომპლექსის დაკმაყოფილებას. ასე მაგალითად, კვებაში მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულია ვაჭრობა, პირადი დამხმარე მეურნეობა, საოჯახო მეურნეობა, საზოგადოებრივი კვება; ტანსაცმელზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან — ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საოჯახო მეურნეობა; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას განაპირობებს არა მარტო ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, არამედ საკურორტო და ტურისტული მეურნეობის განვითარების დონე, ეკოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობა და სხვა.

Прямым следствием такого положения является тот факт, что создаваемая у нас новая техника, практически не конкурентоспособна за рубежом. Например, по машиностроительному комплексу, где в первую очередь необходим конъюнктурный уровень, количество объектов новой техники, основанной на изобретениях, составляет менее половины. Не удалось достигнуть чувствительных качественных изменений в сроках и масштабах использования высокоэффективных технических новшеств. Вызывает тревогу наблюдаемое снижение среднегодовых темпов впервые внедренных изобретений по машиностроительному, топливно-энергетическому строительному комплексам. Подавляющая часть изобретений внедряется только на одном предприятии. Все эти тенденции характерны не только для промышленно-производственного потенциала республики, но и в целом для страны. А потому подходить к проблеме необходимо комплексно и решать ее не локально, в свете тенденций, характерных для того или иного ре-

¹⁵ Сводный статистический сборник Госкомстата СССР. 1987.

гиона, а именно в масштабах страны. Основные причины подобного отношения к предложениям новаторов заключаются в недостаточном воздействии хозяйственного механизма на ускорение научно-технического прогресса, слабой восприимчивости народного хозяйства к использованию технических новшеств, о чем говорилось в политическом докладе ЦК КПСС XXVII съезду партии, а также на июньском (1987 г.) Пленуме ЦК КПСС.

Серьезным препятствием на пути новаторов встают межведомственные барьеры, позиция ряда научных, проектно-конструкторских организаций, их руководителей, отвергающих изобретения.

Совершенно очевидно, что назрела необходимость создания эффективной **государственной** системы воздействия на ускорение научно-технического прогресса, коренной перестройки всей работы по изобретательству и рационализации, переводу ее на путь интенсивного развития, решительного преодоления механизма торможений.

В этой связи представляется целесообразным, с учетом мнения изобретателей и рационализаторов, обосновать необходимость создания союзного и республиканского подразделения, которое бы занималось вопросами координации и руководства изобретательской, рационализаторской и патентно-лицензионной работы и осуществлением государственного контроля за внедрением наиболее ценных, экономически выводных технических новшеств в народном хозяйстве, планированием и эффективным использованием выделяемых на эти цели государственных ассигнований.

Одним из принципиально новых направлений изобретательской и рационализаторской работы становится внедрение элементов хозяйственного расчета. В настоящее время, для развития этого начала есть все необходимые правовые, организационные и финансовые условия.

С 1988 года при советах ВОИР республики появились первые хозрасчетные объединения в виде временных творческих коллективов. Их деятельность позволяет, с одной стороны, сократить сроки разработки и внедрения в производство предложений новаторов и помочь конкретным нуждам предприятий, а, с другой, лучше использовать социалистическую предприимчивость и творческий потенциал этих людей в свободное от основной работы время.

В настоящее время в республике функционирует 22 временных творческих коллектива, вовлеченных в различную тематику, зеступило в силу 27 двусторонних договоров на сумму 1,1 миллион рублей, с предполагаемым экономическим эффектом от использования на сумму 3 миллиона рублей.

Практический опыт рождает необходимость вынести на общественное обсуждение вопросы дальнейшей активизации и повышения роли технического творчества в условиях интенсификации производства. Первые шаги в этом направлении уже дают о себе знать. На страницах газет, журналов, с помощью телевидения зародился спор по обсуждениям вопросов перестройки и усовершенствования изобретательской работы. Необходимо глубоко и всесторонне осмыслить и проанализировать происходящие пермены, их влияние на практику изобретательства, рационализации.

В условиях перестройки общества на современном этапе ускорения научно-технического прогресса, новое качественное значение приобретает пропаганда новаторского творчества. На расширение и активизацию этой работы прямо указывают решения XXVII съезда

КПСС, последующих пленумов ЦК КПСС и XVIII съезда профсоюзов СССР и ГССР.

Пропагандистские мероприятия вносят определенный вклад в развитие движения изобретателей и рационализаторов. Редакционные коллективы республиканских изданий за XII пятилетку организовали постоянные тематические рубрики БРИЗ в газете «Молодежь Грузии» и «От изобретения до внедрения» — в газете «Вечерний Тбилиси». Ряд публикаций последних лет наглядно высветил теневые стороны новаторского творчества. Такие совместные материалы изобретателей и рационализаторов и газеты «Молодежь Грузии» как «Рацпредложение в водовороте бумаг... почему?» и «Блюдечко с голубой каемкой» положили начало заинтересованному разговору о проблемах привлечения молодежи к техническому творчеству (на примере По «Электрвозостроитель»).

Одобрение и поддержку директивных органов республики получил организованный цикл всесоюзных и республиканских выставок («Изобретательская и патентно-лицензионная работа», «Ждут своего внедрения»). С успехом прошло участие новаторов республики в ряде всемирных выставок изобретательского творчества в Венгрии, Югославии, Индии, Испании.

Вместе с тем, в проводимой работе отсутствует целенаправленная налаженная система пропагандистских мероприятий. Существенным сдерживающим фактором является отсутствие в бюджете целевых средств на пропаганду. Подготовленные к публикации материалы носят преимущественно информационный характер, в них недостаточно выделены узловые проблемы, с указанием конкретных виновников, тормозящих внедрение изобретений и рационализаторских предложений, выплату авторского вознаграждения. Все еще слабо используется возможность совместной работы с телевидением для освещения передового опыта.

Активное участие принимали изобретатели и рационализаторы в разработке проекта Закона СССР об изобретательстве, который в конце прошлого года после долгого ожидания был, наконец, опубликован для широкого обсуждения.

В целом проект Закона следует одобрить, он содержит ряд новых, позитивных положений, предусматривающих ступенчатое внедрение изобретений, исключительное право изобретателя на свое изобретение, льготы при вознаграждении авторов за использование изобретений. Это, несомненно, будет стимулировать развитие изобретательства в стране.

Однако отдельные положения проекта, несмотря на свою актуальность и злободневность, в нынешнем своем виде продолжают оставаться спорными и, более того, стали расплывчатыми, лишены необходимой конкретности.

За всю историю советского государства акты правовой охраны изобретений принимались пять раз. основополагающим в них было то, что изобретения принадлежат государству, а право автора обеспечивалось и охранялось авторским свидетельством. Вместе с тем, не отменялся и патент на изобретения, который выдавался по желанию автора. В проекте Закона авторское свидетельство аннулируется. Таким образом, патент остается единственным охраняемым документом. А ведь за патент следует платить пошлину и немалую. Это резко уменьшит количество подаваемых заявок на предполагаемые изобре-

тения, ибо далеко не каждый автор располагает реальной возможностью изъять крупную сумму из собственной заработной платы.

Необходимо отметить, что в проекте Закона совершенно не упоминается рационализация, не предусмотрены обязанности министерств, ведомств, объединений, предприятий и организаций по использованию изобретений, некоторые из указанных льгот авторов продолжают в отдельных случаях страдать неконкретностью, не в лучшую сторону изменено определение самого изобретения.

Любые новые, самые прогрессивные методы хозяйствования и формы организаторского обеспечения сами по себе не приведут к положительным преобразованиям в изобретательской и рационализаторской работе. Все эти новшества при их подборе и использовании способны лишь создать базу для коренного улучшения всей комплексной и индивидуальной работы изобретателей и рационализаторов. Успех в целом зависит от готовности и способности новаторов осуществлять свою деятельность в новых условиях, настойчивости и боевитости каждого трудового коллектива, всех творческих масс в целом.

Представлена Советом молодых ученых Института экономики и права АН ГССР

მ. შუაბიძე

საბჭოთა ეკონომიკის გარდაქმნის სტრატეგია
და მარკეტინგის კონცეპცია

თანამედროვე მარკეტინგი — რთული მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი მოვლენაა. ერთი მხრივ, ეს არის საზოგადოებრივი წარმოების მონოპოლიზაციის ხარისხობრივად ახალი დონის შედეგი, როდესაც თვით კაპიტალისტური მონოპოლიის განვითარების ლოგიკამ მოითხოვა მონოპოლისტური ბატონობის სფეროს გაფართოება უფრო სრული კონტროლის, მიმოქცევის სფეროში უფრო ღრმად შეჭრის, რეალიზაციის პირობების უფრო აქტიურად ფორმირების საფუძველზე, მეორე მხრივ, თავი იჩინა საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების ახალ პირობათა მკვეთრმა გავლენამ, რეალიზაციის პრობლემის გამწვავებამ, როგორც საშინაო ისე საგარეო ბაზრებზე.

მარკეტინგის, როგორც მმართველობითი კონცეპციის აღმოცენება — რომელიც უზრუნველყოფს წარმოების და გასაღების საბაზრო ორიენტაციას — იწყება გასული საუკუნის მიწურულს აშშ-ში და მან დასრულებული სახე მიიღო ჩვენი საუკუნის შუა პერიოდში. განვითარების მიხედვით მარკეტინგის ცნების ქვეშ გაიგებოდა განაწილების სისტემა, შემდეგ გასაღების მეთოდი ან რეალიზაციის ფუნქციათა კომპლექსი, დღეისათვის ამ ცნების ქვეშ იგულისხმება ბაზრის მართვის კონცეპცია. ამ ახალი რედაქციით თვითონ მარკეტინგი ნიშნავს მართვის ისეთ ორიენტაციას, როდესაც სამეურნეო გადაწყვეტილებათა საფუძვლად აიღება არა წარმოების შესაძლებლობები, არამედ ბაზრის მოთხოვნები, მომხმარებელთა არსებული და პოტენციური მოთხოვნილებები. „ორიენტაცია ბაზარზე“ — აი ძირითადი არსი, ძირითადი იდეა მარკეტინგის, როგორც ბაზრის მართვის კონცეპციისა (Абрамишвили Г. Г. и др. Операция «Маркетинг». Стратегия и тактика конкурентной борьбы монополии. М., 1976, с. 16).

მარკეტინგი აუცილებელია განხილული იქნას, როგორც კაპიტალისტური წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური, ფინანსური და კომერციული ფუნქციების სისტემა, რომელიც რეალიზაციის სფეროს დაუფლებსკენა მიმართული.

მარკეტინგის ამოცანა მდგომარეობს საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების პირობების შექმნაში, ცვლადი გარემო პირობებისადმი წარმოების სწრაფ შეგუებასა და ახალი პროდუქტის შესაქმნელად ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩატარებაში. ვიწრო გაგებით მარკეტინგის მთელი სისტემა მისი მეთოდები და საშუალებები წარმოადგენენ რეალიზაციის სფეროზე — მოთხოვნაზე, მიწოდებაზე, ფასებზე, გასაღების პირობებზე. საქონლის მოძრაობის არხებზე ზემოქმედების ინსტრუმენტებს.

მარკეტინგის დანერგვამ და პრაქტიკულმა გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს:

— მეურნეობის ხელმძღვანელობაში საჭირო გადაწყვეტილებათა მიღება-

სათვის ბაზრის მოთხოვნილების და საზოგადოებრივი მოთხოვნის მდგომარეობის და დინამიკის შესწავლა;

— ბაზრის მოთხოვნებისადმი, საზოგადოებრივი მოთხოვნის სტრუქტურისა და დინამიკისადმი პროდუქციის წარმოების, მისი ასორტიმენტის, წარმოების და გასაღების მთელი სისტემის მართვის, მაქსიმალური მიახლოების პირობების შექმნა;

— მოთხოვნაზე, ბაზარზე და რეალიზაციის სხვა პირობებზე აქტიური შემოქმედება ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით (რეკლამა, სასაქონლო და ფასების პოლიტიკა, საქონლის მოძრაობის სფეროს კონტროლი და სხვა).

ზოგადად მარკეტინგის არსს კარგად გამოხატავს ამერიკელი ეკონომისტი თ. ლევიტი — „გასაღების“ საშუალებით ცდილობენ მყიდველი აიძულონ ისურვოს ის რაც ფირმას შეუძლია შესთავაზოს მას, „მარკეტინგის“ საშუალებით ფირმას აიძულებენ აკეთოს ის რაც მყიდველს სურს“. (TH. LEVITT. The Marketing Mode. Pathways to Corporate Growth. N. Y., 1969, p. 231).

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების ნაციონალური სამმართველოს ექსპერტთა აზრით „მარკეტინგის, როგორც მართვის კონცეპციის არსი მდგომარეობს მისწრაფებაში დაკმაყოფილდეს მყიდველთა მოთხოვნილებები“ („A Handbook for Marketing machinery“. L., 1970, p. VII).

როგორც ვხედავთ, მარკეტინგის მთავარი პრინციპის არსი მდგომარეობს წარმოების მომხმარებელზე ორიენტაციაში.

მარკეტინგი კომპლექსური მოვლენაა, რომელიც საწარმოს მთელ სამეურნეო საქმიანობას მოიცავს დაწყებული ბაზრის შესწავლით, მისი ნამდვილი მოთხოვნილებების გამოვლენით, ამის საფუძველზე საქონლის ასორტიმენტის დაგეგმვით, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩატარებით, საქონლის წარმოების ორგანიზაციით, მასზე მომხმარებელთა მოთხოვნის ფორმირების და სტიმულირების ღონისძიებათა განხორციელებით და დამთავრებული მზა პროდუქციის რეალიზაციით და მომხმარებელთა გაყიდვის შემდგომი მომსახურებით.

მარკეტინგის კონცეპცია, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა, ასრულებს პრაქტიკულ ფუნქციას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შეაიარაღოს მონოპოლიები წარმოების და გასაღების ეფექტიანობის ამაღლების მეთოდებით და საშუალებებით, კაპიტალისტური ეკონომიკის წინააღმდეგობათა და კონკურენციული ბრძოლის გამწვავების პირობებში.

საბაზრო მეურნეობის კანონები არსებობენ ობიექტურად, ადამიანს შეუძლია შეიმეცნოს ისინი და მათი მოქმედების ობიექტური ხასიათის გამო ცნობიერად დაემორჩილოს მათ მოთხოვნებს. ერთი შეხედვით, მარკეტინგი ბაზრას მექანიზმში ჩარევის საშუალებაა, მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუფიქრებთ აღმოვაჩინებთ, რომ იგი არის გაცნობიერებული აუცილებლობა ბაზრისადმი დამორჩილებისა. იგი თავის თავში გულისხმობს წარმოების დამორჩილების მომხმარებელთა მოთხოვნილებებისადმი ანუ ადვილი აქვს კერძო შრომის უშუალოდ საზოგადოებრივ შრომად გადაქცევისაკენ სწრაფვას. აღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ბაზრისადმი დამორჩილებას აბსოლუტური ხასიათი ჰქონდეს.

1976 წელს სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან შეიქმნა მარკეტინგის საკითხების სექცია, რომელიც ძირითადად მოწოდებულია მეოფდურა

დახმარება გაუწიოს საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს მარკეტინგის მეთოდების პრაქტიკული გამოყენების დარგში.

მარკეტინგის საკითხების კვლევას ჩვენს ქვეყანაში ძირითადად 70-იანი წლებიდან შეუდგნენ. დამოკიდებულება მის მიმართ როგორც ჩვენთან ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის ერთგვარი. ნაწილი ეკონომისტებისა (მ. რიდელი, ე. დულინევი (პოლ.), ს. საბოლჩი (უნგრ.) მიიჩნევენ რომ თანამედროვე მარკეტინგის კონცეპცია, პრინციპები და მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო საგარეო ვაჭრობაში, არამედ სოციალისტური ქვეყნების საშინაო ბაზრის რეგულირების საქმეში. სხვები (ე. კერემეზჩიევი (ბულ.) თვლიან, რომ მარკეტინგი, როგორც ცალკეულ საწარმოთა პროდუქციის რეალიზაციის ორგანიზაციის ერთიანი კონცეპცია, შეუთავსებელია რეალიზაციის მარქსისტულ-ლენინურ კონცეპციასთან და ამდენად მიუღებელია სოციალიზმისათვის. ეკონომისტთა სხვა ჯგუფს (გ. აბრამიშვილი, ი. ტრუსოვი, ვ. ვოინა (სსრკ) მიაჩნია, თუ ჩვენ მივიღებთ მარკეტინგის კონცეპციას, ეს ჩვენ საბაზრო სოციალიზმამდე მიგვიყვანს.

პოლონეთის საგარეო-სავაჭრო პალატის ექსპერტთა კომისიის განმარტებით, სოციალისტური მარკეტინგი არის ერთიანობაში მოყვანილი საწარმოთა მოქმედების კომპლექსი, რომლის მიზანია წარმოების, საქონელბრუნვის და მომსახურების ფორმირება ბაზრის (როგორც საშინაო ასევე საგარეო) მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის ინტერესების გათვალისწინებით.

აზრთა ასეთი დიაგნოტიკური, ურთიერთგამომრიცხავი სტეპობის მიუხედავად სოციალისტური ქვეყნების ეკონომისტები აკეთებენ დასკვნას, რომ გასაღების ორგანიზაციის, პროდუქციის წარმოების და გასაღების ფორმათაშორისი კავშირების და შიდასაფირმო დაგეგმვის კონკრეტული ფორმები, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების სოციალისტურ მეურნეობაში გამოყენების თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა. საინტერესოა აგრეთვე ბაზრის შესწავლის ორგანიზაცია და მისი ანალიზის მეთოდები, სარეკლამო კამპანიების ჩატარების გამოცდილება.

საბჭოთა ეკონომიკაში მიმდინარე გარდაქმნები უფლებას გვაძლევს კრტიკულად შევაფასოთ დამოკიდებულება მარკეტინგისადმი, ამას მოითხოვს დრო, რეალური სიტუაცია. სოციალისტური სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ ახალი კანონის მიღება აუცილებელს ხდის მარკეტინგის თეორიის ღრმა მეცნიერულ შესწავლას და მის პრაქტიკულ დანერგვას. რამდენადაც ახალ პირობებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იქმნება შერეული საწარმოები, რომლებშიც თავიანთი პროდუქციის ნაწილის რეალიზაცია ქვეყნის გარეთ უნდა მოახდინონ და რამდენადაც ახალ პირობებში საწარმოებს უფლება მიეცათ პირდაპირი კავშირის საფუძველზე თავიანთი პროდუქცია გაიტანონ მსოფლიო ბაზარზე, იმდენად აუცილებელი ხდება აღნიშნული თეორიის შესწავლა და სპეციალისტების მომზადება ამ დარგში, რადგან მსოფლიო ბაზარზე კონკურენტული ბრძოლა უაღრესად გამწვავებულია და იგი არსებითად სხვაგვარად მიმდინარეობს, რაც არასაფასო მეთოდების წინა პლანზე წამოწევასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლად წარმატებებზე ფიქრი ნაკლებად რეალურია.

საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური ფაკულტეტების სტუ-

დენტებს ეკითხებოდეთ სპეციალური კურსის მარკეტინგის თეორიაში და ამასთანავე საჭიროა შეიქმნას მარკეტინგის კათედრა.

რამდენადაც მარკეტინგი ხელს უწყობს მომხმარებელთა მოთხოვნილებების უფრო სრულ და ოპერატიულ დაკმაყოფილებას, სტიმულს აძლევს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ნომენკლატურის განახლებას და გაფართოებას, იმდენად მისი დანერგვა სოციალიზმის პირობებში სრულ სამეურნეო ანგარიშზე მოქმედ საწარმოებში საშუალებას მოგვცემს ცალკეულ საწარმოთა რესურსები და საზოგადოების მოთხოვნილებები მოვიყვანოთ მეტ შესაბამისობაში.

М. Я. ШУБИТИДЗЕ

СТРАТЕГИЯ ПЕРЕСТРОЙКИ СОВЕТСКОЙ ЭКОНОМИКИ И КОНЦЕПЦИЯ МАРКЕТИНГА

Резюме

В работе рассмотрены вопросы возникновения маркетинга как концепции управления, его цель и задачи, основные этапы его развития и необходимость его внедрения в социалистические хозрасчетные предприятия и предприятия со смешанным капиталом для того, чтобы быстрее осуществлять ориентацию нашей экономики на спрос потребителя с целью преодоления укоренившегося принципа «производство для производства». Рассмотрены направления в отношении этой концепции как в советской, так в восточно-европейской и западной экономической литературе.

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ი ა კ ო ზ ო ვ ა ნ ი

საქართველოს სსრ ეროვნულ-ბიბლიოთეკის ფუნდამენტის შესახებ

საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში ფართოდ განიხილება ეროვნულ ურთიერთობათა საჭირობოროტო საკითხები. უკვე გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი დისკუსია. ყურნალ-გაზეთებში საქმაოდ ხშირად იბეჭდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი მიძღვნილი მასალები, კრიტიკული წერილები.

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ მიმდინარე წლის 3 მარტს გამოაქვეყნა ამირან გომართელის წერილი „...ჩვენც ნურვინ შეგვეცილება!“. იგი შეეხება ყურნალ „Советское государство и право“-ს 1969 წლის პირველ ნომერში „მრგვალი მაგიდის“ რუბრიკით დაბეჭდილ მასალას — „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და სსრ კავშირში ეროვნულ ურთიერთობათა სახელმწიფო-სამართლებრივი ასპექტების“ თემაზე გამართული დისკუსიის რამდენიმე მონაწილის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას. „მრგვალი მაგიდის“ სხდომა ჩაატარა ხსენებული ყურნალის რედაქციამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კონსტიტუციური სამართლის სექტორსა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა საპრობლემო ჯგუფთან ერთად 1988 წლის 13-14 სექტემბერს მოსკოვში (სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში). ყურნალში გამოაქვეყნდა „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა გამოსვლების შემოკლებული ვარიანტი.

წერილის ავტორი პირველ რიგში აკრიტიკებს აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგის მ. ალისკეროვის უმართებულო მოსაზრებას საქართველოში აზერბაიჯანული ავტონომიის შექმნის შესახებ. წერილს ერთვის აგრეთვე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის მინაწერა. მასში გამოთქმულია შემფოთება, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო დისკუსიებში, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ქართველი იურისტები.

ავტორისა და რედაქციის პოზიცია ამ მიმართებით სავსებით მისაღები და უთუოდ გასათვალისწინებელია. ოღონდ ის კი სათქმელია, რომ წერილში ხსენებულ დისკუსიაში ერთი ქართველი იურისტიც მონაწილეობდა (თუმცა საჭირო იყო, რომ „მრგვალი მაგიდის“ სხდომაში სხვა რესპუბლიკების, კერძოდ, სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, საქართველოდანაც რამდენიმე კაცს მიეღო მონაწილეობა). ქართველი იურისტის მონაწილეობა, მართალია, არ არის აღნიშნული ზემოხსენებულ საქურნალო მასალაში, მაგრამ როგორღაც იმასაც ხომ უთუოდ უნდა ვაწეოდა ანგარიში, რომ ყურნალმა მკითხველებს გარკვევით აუწყა — დისკუსიის მასალების გამოქვეყნება მომდევნო ნომერში გაგრძელდება! ყურნალის სწორედ ამ მე-2 ნომერში დაიბეჭდა ჩემი გამოსვლის შემოკლებული ვარიანტი.

მ. ალისკეროვი გამოვიდა პირველსავე სხდომაზე — 13 სექტემბერს, დღის პირველ ნახევარში. მისი მოთხოვნა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული მოსახლეობისათვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე ჩემთვის იქ მოულოდნელი იყო. ამასობაში თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა და მუშაობის განახლების შემდეგ პირველ გამომსვლელად მე დამასახელა. ქვემოთ მოვიყვან ჩემი გამოსვლის საპასუხო ნაწილს, რომელიც ასეთ არახელსაყრელ ვითარებაში, ექსპრომტად მომზადდა (იგი კარგად მიესადაგა იმ ადგილს, სადაც აღინიშნა, რომ ბოლო დროს ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში აშკარად გამოიკვეთა კრიზისის ნიშნები).

«...Известные негативные события в национальной сфере, происшедшие в последнее время в разных регионах страны — в Казахстане, в Прибалтике, в Закавказье — надо полагать, веские предвестники, явно зримые признаки кризисных явлений в национальных отношениях.

Одна из причин таких негативных явлений — низкая культура межнациональных отношений. Культурный в национальном отношении человек не будет выпячивать свои узконациональные, эгоистические интересы и ущемлять интересы других наций. Я ...никак не могу согласиться с его (М. Н. Алискерова) неудержимым желанием покрыть Закавказье азербайджанскими автономными образованиями, в частности, не считаясь с исторической принадлежностью территории, образовать такую единицу в Грузии, чтобы в перспективе прихватить исконно грузинские земли. И это тогда, когда в отличие от положения азербайджанского населения в Грузии, в Азербайджане притесняют грузинское население, живущее там на своей исторической территории. Но мы, несмотря на это, не требуем образовать грузинскую автономию в Азербайджане. Правда, теперь я уже не знаю, хорошо ли это, или плохо. Создание автономии не должно стать самоцелью. Действительно, должны же быть какие-то критерии, сколько национально-государственных единиц может иметь одна нация в составе СССР? В маленькой Грузии 3 автономии, в этом отношении она на II месте после огромной Российской Федерации. Сколько можно дробить территорию республики? Надо уметь умерять свой чрезмерный аппетит...»

ეს საპასუხო განცხადება ჩართულია ჩემი გამოსვლის მთლიან ტექსტში და ამ სახით ფიქსირებულია დისკუსიის სტენოგრაფიაში.

ჟურნალ «Советское государство и право»-ში მ. ალისკეროვის აშკარად შეუწყნარებელი მოსაზრება საქართველოში აზერბაიჯანული ავტონომიის შექმნის შესახებ აისახა, ჩემი გამოსვლის საპასუხო ნაწილი კი რატომღაც გამოტოვებულია, რაც ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელია. რაკი ჟურნალმა საქართველოს სსრ აზერბაიჯანელი მოსახლეობის ავტონომიური მოწყობის ეგრეთ წოდებულ უფლებზე ჩამოაგდო სიტყვა, აუცილებელი იყო, რომ საფინანსომდეგო თვალსაზრისისაც სათანადო ადგილი დათმობოდა. ასეთ ვითარებაში ჟურნალს ყოველ მიზეზს გარეშე უნდა აესახა მ. ალისკეროვის უსაფუძვლო მოთხოვნის კრიტიკა, მისი მეცნიერული შეფასება.

დისკუსიის შემდეგ, პროფესორ მ. ალისკეროვის უსაფუძვლო მოსაზრების დაბეჭდვამდე მეც ვითარების შესაფერისად ვიქცეოდი.

„მრგვალი მაგიდის“ სხდომის შედეგები, მათ შორის მ. ალისკეროვის უმართებულო მოთხოვნა ჩემი პასუხითურთ, გავაცანი საქართველოს სსრ მეც-

ნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს, სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. ჩემი სიტყვის სრული ტექსტი წარუდგინე აგრეთვე გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ (სადისკუსიოდ გატანილი ცალკეული დებულებები აქ გამოქვეყნდა 1988 წლის 15 ნოემბერს) და ჟურნალ „საქართველოს კომუნისტს“ (გადამუშავებული სტატიის სახით ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა 1989 წლის მე-3 ნომერში), ოღონდ საპასუხო ნაწილის გასწვრივ არშიაზე მივაწერე: «Это — не для печати». საქმე ის არის, რომ ამ ბოლო წლებში საქართველოს

აზერბაიჯანელი მოსახლეობის ავტონომიის შექმნის მოთხოვნა კი გაისმის ხოლმე, მაგრამ ბეჭდურად ჯერჯერობით არ თქმულა. დისკუსიის დროსაც თითქოს ისე მოჩანდა, რომ ეს არც ახლა მოხდებოდა. ასეთ ვითარებაში კი ჩვენს მხრივ აზერბაიჯანული ავტონომიის მოთხოვნაზე სიტყვის ჩამოგდება, ცხადია, მიზანშეუწონელი იქნებოდა. აზერბაიჯანელი იურისტები ჩემს მკვეთრ განცხადებას აღარ გამოპასუხებინან. მ. აღისკეროვის გამოსვლაშიც საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობა მაინც მაგალითის სახით, იმ ზოგადი დებულების საილუსტრაციოდ იყო დასახელებული, რომ საერთოდ ეროვნულ უმცირესობებს უნდა ჰქონდეთ ავტონომია თავიანთი ეთნიკურ-კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (ანალოგიური მოსაზრება დისკუსიის სხვა მონაწილეებმაც გამოთქვეს). ამასთანავე, დისკუსიის ხელმძღვანელები მოგვიწოდებდნენ, რომ მოვრიდებოდით რეგიონალური პრობლემების განხილვას. ეს ნაკარნახევი იყო ეროვნულ ურთიერთობათა გამწვავების თავიდან აცილების სურვილით. სწორედ აღნიშნულ გარემოებათა გამო მოვერიდე „ზარია ვოსტოკასა“ და „საქართველოს კომუნისტში“ ზემომოყვანილი საპასუხო განცხადების გამოქვეყნებას. კერძოდ, ხსენებულ საჟურნალო სტატიის ახალი ავტონომიების შექმნის ზოგადი დებულების უკუგდებათ შემოვიფარგლე: „В отношении национальных групп населения, не имеющих территориальной автономии в данной республике, следует идти не по пути формирования автономных образований, а применять идею культурно-национальной автономии с новым, социалистическим содержанием...»

ამგვარად, ჩვენ ჯეროვანი სიფრთხილე და ტაქტი გამოვიჩინეთ.

ქართული ანდაზაა — „მოთმინება სამოთხის გასაღებიაო“. მაგრამ, ვეჟას თქმისა არ იყოს, „საკმაო ხანი ვითმინე, მოთმენა გამომელია“. საქმე საქმეზე მიდგა, საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის ავტონომიურად მოწყობის მოთხოვნა უკვე დაიბეჭდა და თუმცა ახლაც საძნელია, მაინც ბოლომდე უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი.

დასტურ მისამართი ეშლებათ საქართველოში აზერბაიჯანელთა ავტონომიის ნაცოდვილარი იდეის ბოროტგანმზრახველ მოწადინეთ — უმართებულოა თვით საკითხის წამოჭრა მოსკოვში, საკავშირო ორგანოების წინაშე: საქართველოში ავტონომიური წარმონაქმნის არათუ შექმნა, არამედ ამ საკითხის განხილვაც კი რესპუბლიკის სათანადო ორგანოების გვერდის ავლითა და ცენტრალური ინსტანციებისადმი შეჩვილების გზით ყოვლად გამორიცხულია. საქმე ისაა, რომ სწორედ ისინი — ეს რესპუბლიკური ორგანოები განიხილავენ და წყვეტენ საკითხს თავიანთი ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნის თაობაზე.

საბჭოთა კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართლის მიხედვით, ავტონომიის შესაქმნელად საკმარისი არ არის იმ ერისა თუ ეროვნების ნების გამოვე-

ლინება, რომელსაც სურს თვითგამორკვევა ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის ან ოკრუგის სახით. განმსაზღვრელია მოკავშირე რესპუბლიკის იურიდიული აქტი მის შემადგენლობაში ახალი ავტონომიური ერთეულის შექმნის შესახებ, რაც შემდეგ წარედგინება დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს.

რესპუბლიკაში ავტონომიური ერთეულების შექმნის წესი საქართველოს სსრ კონსტიტუციით განისაზღვრება. ხსენებული ძირითადი კანონის 72-ე მუხლში იმ საკითხთა შორის, რომელნიც ექვემდებარება საქართველოს სსრ გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით, აღნიშნულია ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნა საქართველოს სსრ შემადგენლობაში (პუნქტი მე-3). ეს უფლება ამჟამად, კონსტიტუციის 104-ე მუხლის ძალით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული კომპეტენციის განეკუთვნება. ამგვარად, ავტონომიური ერთეულების შექმნა ახლა მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებაა. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში სათანადო ცვლილება-დამატებათა შეტანის შემდეგ გადაწყვეტილებათა მიღება რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხებისა და, მაშასადამე, ავტონომიური ერთეულების შექმნის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობის გამგებლობის საგანი იქნება. სსრ კავშირი კი მარტოოდენ ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნას (შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის წარდგინების საფუძველზე). ეს უფლებამოსილება ამჟამად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება (იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლები, სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტი და 108-ე მუხლის მე-2 პუნქტი 1988 წლის 1 დეკემბრის კანონის რედაქციით). რაც შეეხება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში კი სახალხო დეპუტატთა ყრილობის) უარს ასეთი ერთეულის შექმნაზე, იგი, ხსენებული მუხლების მიხედვით, საბოლოო გადაწყვეტილებად ჩაითვლება და არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოში აღარ განიხილება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შექმნილია ყველა პირობა აქ მცხოვრები ეროვნული ჯგუფებისა და მათ შორის აზერბაიჯანელების ყოველმხრივი განვითარებისათვის, სოციალ-ეკონომიკური თუ ეთნიკურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და ამ მხრივ მათ ამჟამად არ ესაჭიროებათ ავტონომიური მართვა-გამგეობის მოწყობა. მტკიცედაა დაცული სახელმწიფო ორგანოებში ეროვნული წარმომადგენლობის პრინციპი. გახსნილია ეროვნული სკოლები და უზრუნველყოფილია მშობლიურ ენაზე სწავლება. მოქმედებენ ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. შექმნილია ხალხური შემოქმედების განვითარების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების ფართო შესაძლებლობანი. თუნდაც მარტო ის რაღაღირს, რომ ჩვენში გამოდის აზერბაიჯანული რესპუბლიკური გაზეთი „სოვეტ გურჯუსტანი“ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. უზრუნველყოფილია რელიგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

გასათვალისწინებელია, რომ ავტონომია არ არის ეროვნულ უმცირესო-

ბათა ინტერესების უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება. კერძოდ, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი მხედველობაში მიიღღება აგრეთვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის დროს. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების ეროვნული პრინციპის განხორციელება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის მრავალი ერისა თუ ეროვნებისა და მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოს სსრ აზერბაიჯანელი მოსახლეობის ყოველმხრივ სამეურნეო და კულტურულ განვითარებას. სსრ კავშირის კონსტიტუციის (მუხ. 146), საქართველოს სსრ კონსტიტუციისა (მუხ. 138) და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების შესახები კანონების შესატყვისად სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, „წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და საბჭოს ტერიტორიაზე მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად“.

XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ „ჩვენი საზოგადოება გამოირჩევა მოსახლეობის დიდი მოძრაობით, მრავალი ადამიანი ცხოვრობს თავისი ეროვნული ფორმირების ფარგლებს გარეთ, და არის ეროვნებანი, რომლებსაც არა აქვთ ტერიტორიული ავტონომია. ყოველივე ეს ჩვენი მრავალეროვნანი სახელმწიფოს რეალობებია“. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, შეიძლება წარმოიშვას გარკვეული კოლიზიები, რომელთა გადაჭრისათვის, მ. გორბაჩოვის სიტყვით, ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი გზა: „საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბებული სტრუქტურის ფარგლებში უზრუნველყოთ თითოეული ერისა და ეროვნების და საბჭოთა ხალხების მთელი გაერთიანების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. სხვა მიდგომა ჩვენს კონკრეტულ პირობებში, უბრალოდ, შეუძლებელია, სხვა გზაზე დადგომის ნებისმიერი ცდა დამლუბველი იქნებოდა“.

მაშასადამე, აქ წამოყენებულია მტკიცე პრინციპული დებულება, რომ ეროვნული ურთიერთობანი უნდა მოწესრიგდეს და განვითარდეს ჩვენი სახელმწიფოს უკვე „ჩამოყალიბებული სტრუქტურის ფარგლებში“. მაგალითისათვის მ. გორბაჩოვმა დაასახელა ყაზახეთი — უზარმაზარი რესპუბლიკა, სადაც ყაზახებთან ერთად ცხოვრობენ რუსები, უკრაინელები, გერმანელები, ყირგიზები, თათრები, უზბეკები, თურქმენები, მრავალი სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. „ამავე დროს, — დაასკვნის მ. გორბაჩოვი, — არავინ არ ხდის საექვოს ყაზახეთის რესპუბლიკის მთლიანობას“.

ამრიგად, ხელოვნური ავტონომიური ერთეულების შექმნით არ უნდა ხელყოთ მოკავშირე რესპუბლიკის მთლიანობა.

აქ გასათვალისწინებელია საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიული გამოცდილება, რომელიც არც აგრე იოლად ხელწამოსაკრავი და უქუსაგდებაია.

ფრიად საგულისხმო გარემოებაა: უკვე კარგა ხანია საბჭოთა კავშირში აღარ შექმნილა ახალი ავტონომიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

მიემართოთ ფაქტებს.

ამჟამად არსებული ყველა ავტონომიური ერთეული ჩამოყალიბდა ათიან, ოციან და ოცდაათიან წლებში (ერთადერთი და მეტად თავისებური გამონა-

კლინია ტუვის ასრ: 1944 წელს სსრ კავშირში მიიღეს ტუვის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც შევიდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსით; 1961 წელს იგი ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა).

ავტონომიური რესპუბლიკები შეიქმნა 1919 წელს (ბაშკირეთისა), 1920 წელს (თათრეთისა), 1921 წელს (აჭარისა და დაღესტნისა), 1922 წელს (იაკუტიისა), 1923 წელს (ბურიატიისა და კარელიისა), 1924 წელს (ნახიჩევანისა), 1925 წელს (ჩუვაშეთისა), 1931 წელს (აფხაზეთისა), 1932 წელს (ყარაყალპაკეთისა), 1934 წელს (მორდვეთისა და უდმურტეთისა), 1935 წელს (ყულძუხეთისა) და 1936 წელს (კომის, მარეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთისა).

ავტონომიური ოლქები — 1922 წელს (ადიღეს, მთიანი ალთაისა და სამხრეთ ოსეთისა), 1923 წელს (მთიანი ყარაბაღისა), 1925 წელს (მთიანი ბაღაშმანისა), 1928 წელს (ყარაჩაი-ჩერქეზეთისა), 1930 წელს (ხაკასეთისა) და 1934 წელს (ებრაელთა).

ავტონომიური (1977 წლამდე ნაციონალური) ოკრუგები — 1925 წელს (კომი-პერმელთა), 1929 წელს (ნენთა), 1930 წელს (ევენკთა, იამალ-ნენთა, კორი-აკთა, ტაიმირის ანუ დოლგან-ნენთა, ჩუკოტკისა და ხანტი-მანსისა) და 1937 წელს (აგის ბურიატთა და უსტ-ორდის ბურიატთა).

ამრიგად, აი უკვე დიდი ხანია, აგერ რამდენიმე ბოლო ათწლეულის განმავლობაში არც ერთი ავტონომიური ერთეული აღარ შექმნილა და, რასაკვირველია, ახლაც არავითარი საჭიროება არ არსებობს, რომ იგი საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის შეიქმნას.

საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების ზოგადი სურათი ისეთია, რომ ერთი ერი ქმნის ან მოკავშირე რესპუბლიკას, ანდა ავტონომიურ წარმონაქმნს.

არსებობს ზოგიერთი გამონაკლისიც, როდესაც ერთი და იგივე ერი ქმნის როგორც მოკავშირე, ისე ავტონომიურ რესპუბლიკას ან ავტონომიურ ოლქს. ასე მაგალითად, ქართველმა ერმა შექმნა საქართველოს სსრ და აჭარის ასრ, აზერბაიჯანელმა ერმა კი — აზერბაიჯანის სსრ და ნახიჩევანის ასრ. მაგრამ ამ ავტონომიური რესპუბლიკების შექმნა განსაზღვრული იყო სპეციფიკური პირობებით (მხედველობაშია საერთაშორისო-სამართლებრივი, გეოგრაფიული და ისტორიული ხასიათის თავისებურებანი).

ამასთან დაკავშირებით ძალიან დამაფიქვებელია ერთი გარემოება, რომელიც საფუძველს იძლევა ვიფიქროთ: ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობის ავტონომიის მოქადაგებებსა და მათ ავანჩავანებს ამოძრავებთ აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ტერიტორიული შერწყმის შორს გამოზნული ავანტიურისტული პერსპექტივა, რაც, ცხადია, საფრთხეს უქადის საქართველოს მიწა-წყლის ხელშეუხებლობასა და მთლიანობას. საქმე ისაა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის მქონე ერის მიერ გამონაკლისის სახით შექმნილი ავტონომიური წარმონაქმნი ჩვეულებრივ ამავე მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის! სახელდობრ, თითოეული ზემოაღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკა შესაბამის ეროვნულ მოკავშირე რესპუბლიკაშია: ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც დასახლე-

ბულია აზერბაიჯანელებით, შედის აზერბაიჯანის სსრ-ში, აჭარის ასსრ კი (ქართველები) — საქართველოს სსრ-ში. ანალოგიურია მთიანი ზადახშანის ავტონომიური ოლქის ვითარება — ისიც ასევე შექმნილია ერთეროვნებიანი სახელმწიფოს ფარგლებში (ტაჯიკეთის მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში). მართალია, არის ერთი ასევე თავისებური ავტონომიური ოლქი — მთიანი ყარაბაღი: მისი მოსახლეობის უმრავლესობა სომხებია, ე. ი. ეკუთვნის ხალხს, რომელსაც საკუთარი ეროვნული მოკავშირე რესპუბლიკა აქვს, მაგრამ ყარაბაღი სომხეთის სსრ-ში კი არ შედის, არამედ სხვა ერის სახელმწიფოში — აზერბაიჯანის სსრ-ში. ეს გამოწვეულია თავისებური ისტორიულ-გეოგრაფიული პირობებით. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი ტერიტორიულად არაა დაკავშირებული სომხეთის სსრ-თან და წარსულშიც განსაკუთრებული პოლიტიკური ერთეულის — ყარაბაღის სახანოს სახით არსებობდა. თანაც დღეს სწორედ ყარაბაღის ავტონომიური ოლქის კუთვნილების გამოა ამტყდარი ასეთი უსაშველო დავიდარაბა და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ჩვენს ზემოაღნიშნულ დაქვევებას.

მართლაც-და, თუ შეიქმნება საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობის ავტონომია, განა მაცდუნებელი არ იქნება ამის შემდეგ გადაიდგას მეორე ნაბიჯი და საბჭოთა სახელმწიფო-სამართლებრივი მშენებლობის დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით წამოიჭრას მისი კუთვნილების საკითხი? მაშინ ავტონომიის არსებობა სარჩულად დაედება იმ მოთხოვნას, რომ ამ ახალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ბედიც სხვა ასეთი ავტონომიური ერთეულის ანალოგიურად გადაწყდეს, ე. ი. ისიც შევიდეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში ისევე, როგორც აზერბაიჯანელებით დასახლებული ნახიჩევანის ასსრ შედის ამ მოკავშირე რესპუბლიკაში, ქართველებით დასახლებული აჭარის ასსრ — საქართველოს სსრ-ში, ტაჯიკეთის რესპუბლიკაში. ასეთია, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობის ავტონომიურად განკერძოების მოწადინეთა ფარული ზრახვები.

საერთო წესის მიხედვით, ერი, რომელსაც აქვს საკუთარი მოკავშირე რესპუბლიკა, სხვა რესპუბლიკებში უკვე აღარ ქმნის თავის ავტონომიურ ერთეულებს. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რუსმა ერმა შექმნა თავისი ერთადერთი ეროვნული სახელმწიფო — რსფსრ. მიუხედავად იმისა, რომ რუსები მასობრივად ცხოვრობენ სხვა რესპუბლიკებში, ისინი იქ არ ცდილობენ შექმნან თავიანთი ავტონომიური წარმონაქმნები. სწორედ ასევე, უკრაინელთა დიდი ჯგუფებია უკრაინის სსრ მიმდებარე ოლქებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ურალისა და ციმბირის სამხრეთ ოლქებში, ბელორუსებისა კი — კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკასა და კალინინგრადის ოლქში. მაგრამ უკრაინელ და ბელორუს ერებს მხოლოდ საკუთარი მოკავშირე რესპუბლიკები აქვთ და არ აცხადებენ პრეტენზიას, რომ შექმნან თავიანთი ავტონომიური ერთეულები მეზობელი ხალხების ტერიტორიებზე. ცხადია, რომ ამ მიმართებით საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის გამოწკლისის დაშვებას ოდნავი საფუძველიც კი არ გააჩნია. ეს არაფრით არაა გამართლებული და სრულიად მიუღებელია, ამისი არც არავითარი საჭიროება არ არსებობს. საესეებით საკმარისია ის, რომ აზერბაიჯანელ ხალხს სსრ კავშირის ფარგლებში უკვე აქვს

ორი სახელმწიფო აზერბაიჯანის მოკავშირე რესპუბლიკისა და ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის სახით.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ საქართველო შედარებით პატარა რესპუბლიკაა. ტერიტორიის სიდიდით იგი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მე-10 ადგილზეა. ავტონომიური წარმონაქმნების რაოდენობის მიხედვით კი მას მე-2 ადგილი უჭირავს: რუსეთის ფედერაციის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს სსრ რიცხოვრივად ყველაზე მეტ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულს მოიცავს. რაღა თქმა უნდა, მიზანშეუწონელი და დაუშვებელიცაა ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული ტერიტორიის შემდგომი დაქუცმაცება და მისი ერთიანობის შეგნების დაკნინება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და საჭიროებისას სხვასაც თამამად შევასენოთ, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილება მთლიანად აგებულია შინაგანი ფედერირების პრინციპზე: მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულები შექმნილია საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში (რაც შეეხება, ვთქვათ, რუსეთის ფედერაციას, აქ ტერიტორიის ნახევარზე მეტი მისი სუბიექტების მიწა-წყალს წარმოადგენს).

სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების ჩვენთან დამკვიდრების ისტორიის უგულებელყოფაც არ იქნება. აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენც ვიცოდეთ და სხვებსაც ჭეროვნად შევასმინოთ ხოლმე, რომ ზოგიერთი მათგანი საქართველომ ძნელბედობის ქაშს ძმურად შეიფარა და გადაარჩინა, ზოგი კი დევ მამაბაბუეული სამკვიდრებლიდან აგლეჯილ და უცხოეთში გარეკილ ქართველობას ჩაენაცლა. კერძოდ, ამ უკანასკნელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე აზერბაიჯანული ავტონომიისათვის ასე უცერემონიოდ მონიშნულ ქვემო ქართლის ისტორიულ მხარეში, სადაც XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასმა მშობლიური მიწა-წყლიდან ძალით აყრილი ქართველების ნაცვლად თურქმანული მოდგმის ბორჩაღუს ტომი ჩამოასახლა. სწორედ ამის შემდეგ შემოვიდა აქ ტოპონიმი ბორჩაღო, რომელმაც აგერ ჩვენს დრომდე იარსება. 1947 წელს იგი კვლავ ძველი ქართული გეოგრაფიული სახელით — მარნეულით შეიცვალა.

ინტერნაციონალიზმი ქართველი კაცის ბუნებრივი ნიშან-თვისებაა. თათარი მას უღვთოდ ტანჯავდა, ის კი მაინც მონუსხულებით გაიძაბოდა — „თათარიც ჩვენი ძმა არისო“. ეს, ალბათ, ერთ-ერთი მეტრისმეტად იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში. საქართველო მრავალი სხვადასხვა ხალხის საუკუნეობრივი თანაყოფობისა და თანაცხოვრების უნიკალური ქვეყანაა. მისი გარემოცვაც ხომ ისეთია, რომ ხალხთა მეგობრობის პრინციპის ურყეობა ჩვენი ეროვნული არსებობის ერთ-ერთი გარდაუვალი პირობაა. ამ ისტორიულად ნაცად გზას ჩვენ არასოდეს არ უნდა გადავუხვიოთ. არც გადავუხვევთ. ამავ დროს ინტერნაციონალიზმი კი არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს ერის ინტერესების უზრუნველყოფას, ეროვნული თვითმყოფლობის დაცვას, მისი შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ზრუნვას, შეუპოვარ ბრძოლას ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელყოფს ხალხის წმიდათაწმიდას, მამულის, სამშობლოს მთლიანობას, მის დღევანდლობასა და მომავალს.

საქართველოს სსრ აზერბაიჯანელი მოსახლეობის ავტონომიის შექმნის მოთხოვნა სეპარატისტული წამოწყებაა, ქართველთა ეროვნული გრძობის შემლახველი ავზრახული იდეაა. იგი ვნებს ქართველთა და აზერბაიჯანელი ხალხების ისტორიულ მეგობრობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას, ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის ეროვნებათაშორის უთანხმოებას და შუღლის ჩამო-

გდებას. ამიტომაც აუცილებელია, რომ დროულად და გადაჭრით აღიკვეთოს ეს საშიში პროვოკაციული გამოხდომა.

ამირან გომართელის წერილში მკაცრადაა გაკრიტიკებული დისკუსიის მონაწილეების — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორების ვ. ნერსესიანცისა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგისა) და ა. აივაზიანის (ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის) მოსაზრებანი.

ბატონი ამირანის სიტყვით, „ვ. ნერსესიანცმა წამოაყენა წინადადება, რომ საბჭოთა ფედერაცია ნაცვლად 15 რესპუბლიკის კავშირისა იწოდებოდეს 53-ი ეროვნულ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის კავშირად და ეს ორმოცდაცამეტივე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი პირდაპირ დაუქვემდებარდეს სსრკ უმაღლეს ორგანოებს, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ დარჩებათ ამჟამინდელი სტატუსი (ავტონომიური რესპუბლიკისა, ოლქისა და ა. შ.)“.

დოქტორმა ვ. ნერსესიანცმა მართლაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩვენი ფედერაცია „მხოლოდ 15 რესპუბლიკის კავშირიდან ყველა 53 საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის კავშირად“ გარდაიქმნას. რაც შეეხება წინადადებას, რომ „ეს ორმოცდაცამეტივე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი პირდაპირ დაუქვემდებარდეს სსრკ უმაღლეს ორგანოებს“, იგი ვ. ნერსესიანცს არც „მრგვალი მაგიდის“ სხდომაზე გამოსვლის დროს არ წამოუყენებია და არც მისი სიტყვის საყურნალო ტექსტში არ ასახულა. თუკი ასეთი დასკვნა ბატონმა ამირანმა თვითონ გამოიტანა ვ. ნერსესიანცის სიტყვის შინაარსიდან, მაშინ სწორედ ამ სახით (თავის დანასკვნად) უნდა წარედგინა იგი გაზეთის მკითხველებისათვის. უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ საქმე შეეხება უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, რომელსაც რესპუბლიკის ეროვნულ ავტონომიებთან მიმართებით ძალზე მტკივნეულად განიცდის ჩვენი საზოგადოებრიობა. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მმართველობის (ე. ი. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოებისადმი მისი უშუალო დაქვემდებარების) ფონზე აუცილებლად საჭირო იყო ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაცია.

ვ. ნერსესიანცმა სასურველად მიიჩნია ყველა არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღიარება „ახალი ფედერაციის“ სუბიექტებად (რაც სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოებისადმი ავტონომიის პირდაპირ დაქვემდებარებას არა, მაგრამ მათთან უშუალო ურთიერთობას კი გულისხმობს). ასეთ მოსაზრებას მთლიანად დაეთანხმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. აივაზიანი, რომლის სადისკუსიო გამოსვლის შემოკლებული ვარიანტი „Советское государство и право“-ს წლევეანდელ მეორე ნომერში გამოქვეყნდა. მოსკოველი აივაზიანის აზრით, საკავშირო სახელმწიფოს სუბიექტებად ის ეროვნებანიც კი შეიძლება ჩაითვალოს, რომელთაც თავიანთი ტერიტორიული წარმონაქმნები არ გააჩნიათ. უნდა ითქვას, რომ მცდარი მოსაზრება სსრ კავშირის სუბიექტად ავტონომიური ერთეულის აღიარების შესახებ პირველად ჯერ კიდევ 66 წლის წინათ გამოითქვა. მაშინ ზოგიერთმა საბჭოთა ავტორმა მიიჩნია, რომ სსრ კავშირის სუბიექტებია არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკები, არამედ ავტონომიური რესპუბლიკებიც, რომლებიც საკავშირო სახელმწიფოში შედიან მოკავშირე

რესპუბლიკების მეშვეობით და არიან „კავშირის მეორე რანგის წევრები“, „სსრ კავშირის უმცროსი წევრები“. ცალკეული ავტორები სამოციან-სამოცდაათიან წლებში კიდევ უფრო შორს წავიდნენ და უმართებულოდ დაიწყეს მტკიცება, რომ სსრ კავშირის სუბიექტებია ეროვნული სახელმწიფოებრიობის ყველა ფორმა, ე. ი. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიურ ოლქები და ნაციონალური ოკრუგები (თავიანთ პოზიციას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის ყველა ფორმას ჰყავს სპეციალური წარმომადგენლები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში). სსრ კავშირი მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული ნების გამოვლინებით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, რის გამოც მხოლოდ საკავშირო სახელმწიფოსა და ამ სუვერენულ რესპუბლიკება შორის წარმოიშობა ფედერაციული სამართლებრივი ურთიერთობანი და, მაშასადამე, მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებია სსრ კავშირის სუბიექტები ანუ წევრი სახელმწიფოები (რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში ავტონომიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულების სპეციალურ წარმომადგენლობათა არსებობას, ეს მათი ფედერალური სამართალსუბიექტობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის დადასტურებაა, რომ ხსენებული ორგანო თავისი დანიშნულების მიხედვით ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების, საბჭოთა ხალხების სპეციფიკური ინტერესების გამომხატველია).

ამირან გომართელი წერს, რომ „მოსკოველ ნერსესიანცს მხარი დაუჭირა ერევნელმა აივაზიანმაც. მისი აზრითაც, თხუთმეტი სახელმწიფოებრივი ერთეულის ნაცვლად ორმოცდაცამეტის არსებობა ხელს შეუწყობს ერების დაახლოებას... ოღონდ ესაა, ნერსესიანცსა და აივაზიანს აღარ განუმარტავთ, თუ როგორ შეუწყობს ხელს დანაწევრება დაახლოებასა და ერთიანობის განმტკიცებას(!)“.

აქ ორი გაუგებრობაა.

ჯერ ერთი, ისე გამოდის, რომ ვ. ნერსესიანცისა და ნ. აივაზიანის აზრით, ამჟამად ავტონომიური წარმონაქმნები სახელმწიფოებრივი ერთეულებს სახით თითქოს-და არ არსებობენ, ასეთებად (სახელმწიფოებრივ ერთეულებად) ახლა ვითომც მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკები ითვლებიან; ნ. აივაზიანს, ვ. ნერსესიანცის კვალდაკვალ, თითქოს სასარგებლოდ მიაჩნია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ავტონომიურმა წარმონაქმნებმაც სახელმწიფოებრივი ერთეულების სახით იარსებონ („...მისი აზრითაც, თხუთმეტი სახელმწიფოებრივი ერთეულის ნაცვლად ორმოცდაცამეტის არსებობა ხელს შეუწყობს...“). ასეთი რამ არც ვ. ნერსესიანცსა და არც ნ. აივაზიანს არ განუცხადებია. სინამდვილეში, როგორც ზემოთაც ითქვა, საქმე შეეხება ვ. ნერსესიანცის წადილს, რომ ავტონომიური ერთეულები აღიარონ სსრ კავშირის სუბიექტებად. ეს წადილი, ცხადია, არ გულისხმობს იმის უარყოფას, რომ ავტონომია ამჟამად არსებობს, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული. ავტონომიების დღევანდელი სტატუსი სრულიადაც არ გამოირიცხავს მათ არსებობას სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სახით და ამის წინააღმდეგ არც ერთი ზემოხსენებული ავტორი არ გამოსულა.

მეორეც, ბატონი ამირანი ნ. აივაზიანს „თხუთმეტი სახელმწიფოებრივი ერთეულის ნაცვლად ორმოცდაცამეტის არსებობის“ (მართებულად თუ ვი-

ტყვით, სსრ კავშირის სუბიექტად მიჩნევის) მომხრედ წარმოგვიდგენს და ამ მხრივ ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს მის პოზიციასა და ვ. ნერსესიანცის მოსაზრებას შორის. სინამდვილეში კი საქმე სხვანაირადაა. ვ. ნერსესიანცი იმ აზრისაა, რომ სსრ კავშირის სუბიექტი იყოს ყველა 53 ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ე. ი. 15 მოკავშირე რესპუბლიკა და 33 ავტონომიური ერთეული — 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ავტონომიური ოკრუგი. რაც შეეხება ნ. აივაზიანს, იგი, მისი სიტყვის საყურნალო ტექსტის მიხედვით, იმის მომხრეა, რომ სსრ კავშირის სუბიექტად ჩაითვალოს არა ყველა ავტონომიური წარმონაქმნი, არამედ მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკები. ამგვარად, ნ. აივაზიანის შეხედულება საგრძნობლად განსხვავდება ვ. ნერსესიანცის მოსაზრებისაგან და ამის უგულებელყოფა სრულიად გაუმართლებელია.

ზემოაღნიშნულ უზუსტობათა ვითარებაში ცოტა უნერხულად ხომ არ გაისმის ბატონი ამირანის განცხადება, რომ ვ. ნერსესიანცისა და ნ. აივაზიანის „მსჯელობა არამც თუ სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს, არამედ ყოვლად აბსურდული და გაუგებარია“? უთუოდ მეტი დაკვირვებულობა გვმართებს და იმ იმედით არ უნდა ვიყოთ, რომ აივაზიანი, როგორც ბატონი ამირანი ბრძანებს, ქართულად გამოქვეყნებულ სტატიას არ წაიკითხავს. ჩვენებურ სომხობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართულს ახლა სომხეთის სკოლებშიც კი სწავლობენ. თანაც, მოსკოველი აივაზიანი საქართველოშია დაბადებული და გაზრდილი. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მ. აივაზიანმა (მისივე სიტყვით — „ასპროცენტთანაა სომეხმა“) „მრგვალი მაგიდის“ სხდომაზე გამოსვლისას ძალიან გულთბილად ილაპარაკა ქართველ ხალხზე, მის ინტერნაციონალურ ბუნებაზე და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის თვალსაზრისით საქართველო პარდაპირ სანიმუშო რესპუბლიკად წარმოაჩინა.

